# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 დეკემბერი 2007 №291 (3214) ფასი 50 თეთრი


# ის პირველი ქართველია!

## კახა კალაძე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონია



AFP

# ვისაც საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურს, კარგად იყოს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თბილისში დაბრუნდა. რამდენიმე დღეში ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც ჩამოვა გერმანიიდან და ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომელიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის დასრულებამდე გაგრძელდება. დღეს კი კვლავაც აქტუალურია ზურაბ ხიზანიშვილისა და კლაუს ტოპმიოლერის გახმაურებული უთანხმოების ამბავი. ადრე ახალკაცმა გვითხრა, არ მჯერა, ხიზანიშვილი იმას თუ იტყოდა, ნაკრებში არ ვითამაშებო. ახლა კი ... ნოდარ ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციაში ვესტუმრეთ და, ცხადია, პირველად ხიზანიშვილზე ვკითხეთ...



## ნოდარ ახალკაცი: პოლიტიკური მიზეზი სრული აბსურდია!

— ზურაბ ხიზანიშვილთან ხომ არ გისაუბრიათ?

— არა. ზურას ბოლოს ლიტვასთან თამაშის დღეს გავესაუბრე, როცა ფედერაციაში მოვიდა მოსაწვევის წასაღებად და ტრავმაზე დავეკითხე. მიპასუხა, რომ მუხლი აწუხებდა. ამის შემდეგ კი მოულოდნელი და გაუგებარი განცხადება გააკეთა, რამაც გული ძალიან დამწყვიტა.

— კერძოდ, რამ?

— ზურამ თქვა, ფეხი კი მტკიოდა, მაგრამ თამაშს შევძლებდი, ტრავმა მოვიგონე, რადგან გავიგე, სასტარტოში არ მაყენებდნენო. ჯერ ერთი, ტოპმიოლერი ორი დღით ადრე არ აცხადებს სასტარტო შემადგენლობას, ზურამ კი წინა დღეს განაცხადა, რომ ტრავმა ჰქონდა და წავიდა. მწვრთნელს ზურასთვის არ უთქვამს, რომ არ ათამაშებდა და ვისგან გაიგო?! ტოპმიოლერი თუ მის სკამზე დასმას გადაწყვეტდა, მიზეზს აუცილებლად აუხსნიდა. ზურა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, მაგრამ მან თავისი წინათგრძნობით გადაწყვიტა, რომ სასტარტოში არ იყო და ექიმს უთხრა, მუხლი მტკივაო. ტოპმიოლერი ექიმის ნათქვამს არ უნდა დაყრდნობოდა?!

— ისიც ითქვა, სპორტული კი არა, პოლიტიკური მიზეზით არ ათამაშა ტოპმიოლერმა ხიზანიშვილიო...

— ტოპმიოლერმა ამის თაობაზე უკვე გააკეთა განცხადება და მეც ვიტყვი, რომ ეს სრული აბსურდია.

— ზურაბ ხიზანიშვილი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია და მასთან სასაუბროდ მზად ხართ?

— ზურას საკმაო დრო აქვს მოსაფიქრებლად. ჩვენ სასაუბროდ ყველასთან მზად ვართ, თუმც არავის შევეხვეწებით, საქართველოს ნაკრებში ითამაშეო. პრეზიდენტი, მწვრთნელები თუ ფეხბურთელები, მიდიან, რჩება მხოლოდ ეროვნული ნაკრები. ეს ჩვენი ერის ნაკრებია და ვისაც იქ თამაში არ სურს, კარგად იყოს. სხვა, ახალი ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებსაც თავიანთი სამშობლო ეყვარებათ. ზურა რომ ამბობს, სანამ მწვრთნელი ტოპმიოლერი იქნება, არ ჩამოვალო, ვეტყვი: კლაუსი კიდევ ორი წელიწადი იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი!

— კლაუს ტოპმიოლერი 20 დეკემბერს ჩამოვა თბილისში და კონტრაქტიც მაშინ გაფორმდება?

— დიახ. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 20 დეკემბერს ფედერაციის ტექნიკური დირექტორის დანიშვნის საკითხსაც გადავწყვეტთ.

— ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელების საკითხიც გადასაწყვეტია...

— ამის მოსაფიქრებლად დრო გვჭირდება.

— ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ერთი სპარინგ-პარტნიორი ცნობილია — უელსის ნაკრებს აგვისტოში კარდიფში ვეთამაშებით და კიდევ ხომ არ შეუთანხმდით ვინმეს?

— ამ ეტაპზე რაიმე სხვა სიახლე არ არის.

— 15 იანვარს სოფიაში ჩვენი ჯგუფის კალენდარზე მოლაპარაკებები გაიმართება. ჩვენთვის სასურველი ვარიანტი უკვე შედგენილი გექნებათ...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ყველას თავისთვის ხელსაყრელი კალენდარი ექნება შემუშავებული და იქნებ შევძლოთ, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ.

— იანვარში ფიფას და უეფას პრეზიდენტები, იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი უნდა გვესტუმრონ. თარიღი ხომ არ არის ცნობილი?

— ჯერჯერობით ზუსტი რიცხვი ნამდვილად არ ვიცით.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე 8 კლუბი კერძო ინვესტორის ხელში როდის გადავა?

— ამ პროექტის განხორციელება აუცილებლად დაიწყება და ეს ალბათ იანვარში მოხდება.

**ნუკრი ლოლაძე**



გიო ახვლედიანის სვეტეული

# რეპორტაჟის ამბავი

მოთავდა შემოდგომის ფეხბური ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ახლა ისეთი გარემოა, რომ სულ ადვილად შეიძლება ფეხბურთიდან პოლიტიკაზე გადასვლა და პირიქით. ერთმანეთში არევა ხომ საუკეთესოა.

მგონი, ჩვენი შინაური ფეხბურთისთვის საუკეთესო ის იქნებოდა, რომ ხალხი ისევე უყურებდეს ქართული ჩემპიონატის ტელერეპორტაჟებს, როგორც პოლიტიკურ თოქშოუებს. პოლიტიკურმა თოქშოუმ ყველა და ყველაფერი დაამარცხა ჩვენსას, რაც არც გასაკვირია და არც მოულოდნელი. ამიტომ, თუკი გვინდა რამეს რამე შევადაროთ, მას უნდა ვუსწოროთ. ჰოდა, საოცნებო იქნებოდა ჩვენი ფეხბურთისთვის, რომ ტელემაყურებელი ჰყავდეს-თქო.

მგონი, ეს უძნელესი ამოცანაა ჩვენი საკლუბო ფეხბურთისთვის და უამრავ რამესაც გულისხმობს. არა მხოლოდ სტადიონის მაყურებელი, არამედ სატელევიზიოც. ეს ერთმანეთზეა გადაბმული. თუ პირველი არ არის, არც მეორე ყოფილა. პირველს რაღაცნაირი, თავისებური იერი აქვს, ზოგჯერ პატარა ქალაქის პატარა სტადიონსაც კი გაავსებს ხოლმე, მეორე კი, არ ვიცი, სად არის. სოციოლოგიური გამოკითხვა რომ დაუკვეთოს კაცმა, მართლაც საინტერესო იქნებოდა. მიმდინარე ვითარებაში სოციოლოგიურ გამოკითხვაზე ლაპარაკი, მგონი, ისევ პოლიტიკაზე ლაპარაკს ნიშნავს, ამიტომ, ჩავიცინოთ და უკეთესი დროისთვის გადავდოთ, თორემ, გამოვიკვლევთ და უცებ გაირკვევა, რომ სოციოლოგიური ჯგუფი რაღაცნაირი სიფრთხილით უნდა შეგვერჩია და პოლიტიკური გამჭრიახობა გამოგვეჩინა. ვისაც არ მოეწონება, იტყვის, თავის ჭკუაზე გამოიკითხესო, ვისაც მოეწონება: კარგად გამოუვიდათო. თან, კაი ძვირიც ყოფილა ეს გამოკითხვა.

ქვეყანაში, სადაც ფეხბურთელის სურდო პოლიტიკური მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს, მწვრთნელისა და მოთამაშის ურთიერთობა კი, გარეგნულ სავალდებულო ვახტანგურობას მოითხოვს, ტელემაყურებელი ძნელი გამოსაკვლევია.

არადა, ეს კარგი იქნებოდა, ჩვენი ფეხბურთისთვის რომ გვეყურებინა ტელევიზორში. მეტიც, ეს საოცარი ფუფუნება იქნებოდა. რეპორტაჟები არის, თამაში მიმდინარეობს, ჩვენ კი ამ დროს სახინკლეებში მივდივართ.

ფეხბურთის შოუდ ქცევა ისეთივე ძნელია, როგორც ნამდვილი ფეხბურთის თამაში. ეს რთული მეურნეობაა. მეურნეობა და მილიონები. ისიც კარგი დასათვლელი იქნებოდა, იმ სავსე პატარა სტადიონებზე რამდენი ბილეთი იყიდება ხოლმე. ამ საკითხის არაფორმალური კვლევა გვიჩვენებს, რომ ძალიან ცოტა და ხალხის უმეტესი ნაწილი იქ უბილეთოდ შედის. ესეც გასაგებია, პირველ რიგში, სიღარიბე და მერე კი სრული გადაჩვეულობა იმისა, რომ სტადიონზე რაღაც განსაკუთრებული ხდება და ზეიმში მონაწილეობისთვის უნდა გადაიხადო.

ერთი მხრივ, არსებობს დიდი სიყვარული და ინტერესი სანაკრებო თამაშის მხრივ, მეორე მხრივ, კი უბრალო და ერთგვარად ბუნდოვანი დამოკიდებულება საკლუბო თამაშების მიმართ. არსებობს ფან-კლუბებიც და არსებობს მისი უდიდებულესობა დედის გინება ლამის ყველაფრის მიმართ, რაც მინდორზე ხდება.

პირველი სიტყვები, რაც სტადიონზე გავიგონე, დედის გინება იყო, თან რუსულად, ბლოხინის მისამართით, კაი, ქართული აქცენტით: ცისფერპერანგიანი შუახნის კაცი წამოდგა და შეაგინა. ის გინება ნამდვილი ტკბილი ნანინაა იმასთან შედარებით, რაც ახლა ხდება სტადიონებზე. უცნაურობა კი ის არის, რომ ეს განწყობა, სტადიონის განწყობა, საერთოდ არ გადმოდის ტელევიზორში. ყველაფერი ისმის, მაგრამ არ გადმოდის.

რაღაცნაირი გამჭვირვალე ფარია მაყურებელსა და რეპორტაჟს შორის. არც ნერვები ჩანს და არც სხვა რამე.

გამოსაკვლევია, მოკლედ. გასაგებია, რომ ძნელია, შენმა საკლუბო ფეხბურთის რეპორტაჟმა მეტოქეობა გაუწიოს, ვთქვათ, გუშინდელი საღამოს ორ რეპორტაჟს ლივერპულიდან და ლონდონიდან, მაგრამ, ეგებ როგორღაც შესაძლებელი იყოს საკუთარი საფეხბურთო სამყაროს შექმნა.

აქ თამაშის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მგონი, რაღაც სხვა უნდა იყოს.


გაფიო ქათამაძის ფოტო

მიმდინარე წლის ივლისში თბილისის „ამერი“ შეკრებაზე ჩეხეთში იმყოფებოდა, სადაც ახალგაზრდა პერსპექტიულმა ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. რატის ჩეხმა პროფესორმა ვანეჩეკმა ორი ოპერაცია გაუკეთა და მას შემდეგ მინდორს არ გაჰკარებია...

# უქმობით დაღლილი წინამძღვრიშვილი

## რატი ძუნძულს იწყებს

— ჯერ ისევ ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და აუზზე დავდივარ, რამდენიმე დღეში კი ნელ-ნელა ძუნძულსაც დავიწყებ, რაც ძალიან მახარებს.

**— ცხადია, ისევ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნები...**

— რა თქმა უნდა, კლუბის ექიმებთან მაქვს კავშირი და თბილისში პროფესორ პავლე კასრაძესთან დავდივარ კონსულტაციებზე. მის გარეშე ფეხს არ ვდგამ.

**— თამაშის დაწყებას, სავარაუდოდ, როდის შეძლებ?**

— როგორც ექიმები მეუბნებიან, აპრილში თამაშს შევძლებ და ერთი სული მაქვს, როდის მოვა ეს დღე.

**— „ამერმა“ ახლახან სუპერთასი მოუგო რუსთავის „ოლიმპს“ (2:0). მატჩს, რა თქმა უნდა, ნახავდი...**

— ტელევიზორში ვუყურე და ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს. მთელი პირველი წრე ვერ აეწყვნენ, ეს შეხვედრა კი მაღალ დონეზე ჩაატარეს. სიმართლე გითხრათ, პირველ წრეში რამდენჯერმე ვნახე „ამერის“ თამაში ტრიბუნიდან და ძალიან განვიცადე. როგორია, ზიხარ და ვერ ეხმარები... ამ სიტუაციას ჭკუიდან გადავყავარ.

*რატის რომ დავემშვიდობეთ, მისი მუხლის ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე პროფესორ პავლე კასრაძესაც ვკითხეთ...*

*„სარეაბილიტაციო პროცესი ნორმალურად მიდის. მის კუნთებს ვამყარებთ და უახლოეს დღეებში ძუნძულსაც დაიწყებს“ — გვითხრა კასრაძემ.*

**ნუკრი ლოლაძე**

# ამერიკული ბათუმი

## ზღვისპირულ კლუბს მილიონერი ყიდულობს

**„ბათუმს“** სულ მალე სოლიდური მეპატრონე ეყოლებაო, გუშინწინ ვწერდით და, შეიძლება ითქვას, სიტყვა „სოლიდური“ კიდევ მოკრძალებულია — დიდი შანსია, კლუბი ამერიკელმა მულტიმილიონერმა შეისყიდოს.

ბათუმში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ამერიკელი მაგნატი ჯონ ჰეი უიტნი. ეს კაცი არც მარტო „ბათუმში“, მთლიანად აჭარაში სერიოზული კაპიტალდაბანდებითაა დაინტერესებული.

უიტნიმ თვითონ თქვა, სხვა შესაძლო ინვესტიციებთან ერთად „ბათუმის“ შეძენაც მაქვს გეგმაშიო. ამერიკელი მულტიმილიონერი ყოფილი სპორტსმენია და მთელ მსოფლიოში რამდენიმე ათეულ სპორტული პროფილის აქციებს ფლობს. იგი ძირითადად საცხენოსნო სპორტითაა გატაცებული, თუმც არამარტო ამით...

უიტნის წარმომადგენლის თქმით, „ბათუმის“ მის მფლობელობაში გადასვლის შემთხვევაში, ანგისის დასახლებაში ევროსტანდარტების სტადიონი აშენდება, გუნდიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი იქნება და, შესაბამისად, უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. ჯერჯერობით კი, იცით, „ბათუმი“ უმაღლეს ლიგაში ცხრილის ფსკერზეა.

გიორგი გაბაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პარლამენტში უკვე შესულია კანონ-პროექტი, რომელიც კერძო ბიზნესს სტიმულირებას გაუწევს, რათა მათ სერიოზული კაპიტალი დააბანდონ ქართულ სპორტში.

მოკლედ, თუ უიტნის გეგმები განხორციელდება, „ბათუმის“ ბედს ძალლი არ დაჰყეფს...

**ილია ნანოგაშვილი**

# ქორწილია ამერულად!

## სიძე-სიმამრი თანაგუნდელები არიან



ზურაბ ხატიაშვილის ფოტოები

გუშინ ულამაზესი წყვილის ულამაზესი ქორწილი იყო – „ამერის“ მეკარე ლადო ნადირაშვილი და მარიამ ხვადაგიანი დაქორწინდნენ.

ყველა სიკეთე ახალშექმნილ ოჯახს! სარბიელელები ლადოს და მარიამს მთელი ცხოვრება ისეთსავე ბედნიერებას ვუსურვებთ, როგორებიც ქორწინების დღეს იყვნენ.

და ერთიც: მარიამ ხვადაგიანი „ამერისავე“ ფეხბურთელის ვახტანგ ხვადაგიანის შვილია, ანუ სიძე და სიმამრი თანაგუნდელები არიან. საქართველოში ეს პირველი პრეცედენტია სიძე-სიმამრის ერთ გუნდში თამაშისა და დიდი ეჭვიც გვაქვს, რომ მსოფლიოშიც ამგვარი მომხდარიყოს, თუმცა ვერ დავიჟინებთ – ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერ არ გვსმენია.

თუმცა მთავარი არა სიძე-სიმამრის თანაგუნდელობა, არამედ ახალი, ულამაზესი და ბედნიერი ოჯახის შექმნაა!

თქვენი დღეგრძელობისა იყოს!

ცაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რობიკო და ნიკა დედასთან ერთად



# თაბუკაშვილის 8: ერთი ოჯახის ჩვენი ტრაგედია

**საზარელი** ამბავი მოხდა პარასკევს ქუთაისში. ცნობილი მწვრთნელი თემურ ნადირაძე, მისი მეუღლე თამარი, უფროსი ვაჟი რობერტი და ფეხმძიმე რძალი ნინო კეპულაძე საკუთარ სახლში ამოჟლიტეს...

და ამ დამზაფრავ, სულისშემძვრელ ტრაგედიას წარმოუდგენელი, გონებაში ჩაუტევნელი გაგრძელება მოჰყვა — ოჯახის ამოწყვეტაში ეჭვმიტანილი 20 წლის ნიკა ნადირაძეა, თემურ ნადირაძის უმცროსი ვაჟი.

თემურ ნადირაძეს ქუთაისში დიდი სახელი ჰქონდა, უპატიოსნესი კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება ფეხბურთში გალია და არაერთი მართლაც კარგი ფეხბურთელი გაუზარდა საქართველოს.

რაღა შორს წავიდეთ: მალხაზ ასათიანი „ჩიჩმის“ (თემურ ნადირაძის მეტსახელი იყო) შეგირდი იყო. მის ხელში გაირბინა მალხაზის ბავშვობამ, მის ხელში გამოიზარდა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი...

„ჩიჩმის 8I-იანები“... ამ გუნდზე ქუთაისში დღესაც ლეგენდები დადის. ქუთაისის „ტორპედოს“ ასაკობრივი გუნდი მაშინ მთელ საქართველოს აზანზარებდა. მალხაზ ასათიანი, რევაზ კვერნაძე, გოდერძი გოგოლაძე... ამათგან დღეს ასათიანს იცნობს მთელი საქართველო და თემურ ნადირაძეს ამაშიც არ უმტყუნა ალღომ — ყოველთვის დაუფარავად ამბობდა, მალხაზი სუპერვარსკვლავი გახდებაო.

ისიც იცოდა, სად და როდის უნდა ეთქვა ეს სიტყვები. პირადად მალხაზისთვის არასოდეს უთქვამს, შენ იქნები, ვინც იქნებიო. მუდამ ტაქტიანი პედაგოგი იყო და აღმზრდელისთვის აუცილებელი სიმკაცრის ფასიც იცოდა.

„ჩიჩმის 8I-იანები“... ნეტავ, გენახათ, რა ბედნიერება იყო ბავშვისთვის (და მშობლისთვისაც) ამ გუნდში მოხვედრა. ყველამ იცოდა, რომ თემურ ნადირაძის ხელში ერთი ნაბიჯით წინ იყავი...

„ჩემი მეორე მამა, კაცი, რომლის ამაგიც შეუფასებელია“ — ეს სიტყვები მალხაზ ასათიანს არაერთხელ უთქვამს თემურ ნადირაძეზე და ვაი რომ, მისი ვალი მთელი ცხოვრება გადაუხდელი დარჩა...

სიტყვები სიტყვებად და, განცდილი ხომ ათასწილ სხვაა. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ კაცს ვიცნობდი, მისი გუნდის წინააღმდეგაც არაერთხელ მითამაშია და, ასე ვთქვათ, „მოწინააღმდეგის თვალითაც“ კი ყოველთვის სიმპათიებს იწვევდა ბატონი თემური.

კედები, ფორმა, ბუცები, სამგზავრო ფული... თემურ ნადირაძეს არასოდეს დაუხევია უკან, როცა მის ბიჭებს უჭირდათ... თან მაშინ, ნაომარ, უშუქო, უპურო და გაუბედურებულ საქართველოში... ისესხებდა და ბიჭებს აჩმარდა...

1995 წელი იყო, როცა თემურ ნადირაძის „ტორპედომ“ მაშინდელი „კოკა-კოლას თასი“ (საქართველოს ჩემპიონატი) მოიგო. ამ გუნდმა ბავშვობა ამ ტრიუმფით გაასრულა და მწვრთნელიც თვალცრემლიანი გამოემშვიდობა შეგირდებს — მათ უკვე დიდი გუნდებისკენ უნდა გაეკვლიათ გზა...

...წლების მერე ქუთაისში ისევ „გამოანათა“. 2003 წელს „ტორპედოში“ ნიკა ნადირაძე გამოჩნდა. I5 წლის თმახუჭუჭა ბიჭი, მეტსახელად „მარადონას“ ეძახდნენ, თუმცა ქუთაისელებისთვის მარადონობაზე მეტად ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ნიკა თემურის შვილი გახლდათ. ყველა ფიქრობდა, რომ ნიკას კარიერას ესაც ძალიან წაადგებოდა...

თურმე ცხოვრება იმაზე გაცილებით გამოუცნობი და დაუნდობელია, ვიდრე ადამიანს ჰგონია...

**კახა ზალამბერიძე**



თემური და რობიკო

დაკავებულია ქ. ქუთაისში მომხდარი ნადირაძეების ოჯახის მკვლელობაში ეჭვმიტანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დაკავებულია 1987 წელს დაბადებული ნიკა თეიმურაზის ძე ნადირაძე, რომელიც ეჭვმიტანილია: თეიმურაზ ნადირაძის, თამარ ნადირაძის, რობერტ ნადირაძის და ნინო კეპულაძის განზრახ მკვლელობაში.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

*შსს პრესსამსახური. I5 დეკემბერი, 2007*



ნინო, ნიკა და რობიკო

# მხოლოდ გაჯახუნება არ მაკმაყოფილებს

## მალხაზ ასათიანმა რუსული წლები გადათვალა

**მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" 2003 წლის იანვარში გადავიდა. მაშინ „ლოკო" შეკრებას იტალიურ ჩოკოში გადიოდა. რკინიგზელთა მწვრთნელი იური სიომინი ახალწვეულს მიუბრუნდა და უთხრა: „გვარი საფეხბურთო გაქვს, აბა, ვნახოთ, რა იცი მოედანზე". მას შემდეგ თითქმის ხუთი წელინადი გავიდა. ასათიანმა ყველას დაუმტკიცა, რაც იცის მოედანზე — მის გარეშე დღეს „ლოკომოტივი" წარმოუდგენელია. მხოლოდ წლევანდელი სეზონი ვერ გამოდგა ჩვენებურისთვის სახარბიელო. მუდამ საუკეთესოთა შორის მყოფი ასათიანი ტრავმამ გაანამა და ვერც ერთ ნომინაციაში საუკეთესოობისთვის ბრძოლა ვერ შეძლო. „ლოკომოტივმაც" ცუდად ითამაშა — მართალია, რუსეთის თასი მოიგო, მაგრამ ჩემპიონატში თავისი უცუდესი შედეგი აჩვენა — მე-7 ადგილი...**



— თავად ვართ დამნაშავენი. ლიდერებს ქულებს ვართმევდით, საშუალო დონის და აუტსაიდერ გუნდებთან კი ვკარგავდით. როცა სტაბილურობა არ არის, კარგ შედეგებზე საუბარი ზედმეტია — უთხრა მალხაზმა რუსულ გაზეთ „ვოსკრესენიეს" წინა კვირის გამოცემას და ამ ინტერვიუს იმის გამოც გთავაზობთ, რომ რუსი ჟურნალისტი სხვა თემების გარდა, თემურ ნადირაძესაც ეხება, რომელიც სამიოდ დღის წინ საკუთარ სახლში მოკლეს.

**— შესაძლოა, იმის გამოც, რომ ნახევარი სეზონი ასათიანს არ უთამაშია...**

— ასე არ ვფიქრობ. ერთი კაცი მოედანზე არაფერს ცვლის, მით უფრო, „ლოკომოტივში", სადაც იმდენი კვალიფიციური ფეხბურთელია, რომ ორ გუნდს ეყოფა.

**— ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ვერც საქართველოს ნაკრები ბრწყინავდა...**

— გეთანხმებით. მხოლოდ კარის ხმაურიანი გაჯახუნება მოვახერხეთ, როდესაც შოტლანდიის ნაკრებს მოვუგეთ. კარგი ფეხბურთელები საქართველოშიც ბევრია, მაგრამ შედეგი რატომღაც არ ჩანს.

**— მართალია, რომ კლაუს ტოპმიოლერმა პოლიტიკური კრიზისის დროს საკუთარი უსაფრთხოების მიზნით საქართველო დატოვა?**

— ჭორებს არ აჰყვეთ. ტოპმიოლერი ისევ ჩვენთანაა. იმედი მაქვს, გერმანელი სპეციალისტი თავისი გამოცდილებით 2010 წლის მსოფლიოს შესარჩევ ეტაპს დაგვაძლევინებს. აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და რუსეთის ნაკრებს ევრო 2008 წლის ფინალურ ეტაპზე გასვლა მივულოცო.

**— შეიძლება არასაფეხბურთო შეკითხვა? როდესაც საქართველოში საომარი მდგომარეობა შეიქმნა, ნათესავებზე და მეგობრებზე არ წუხდით?**

— რა თქმა უნდა, თუმცა მდგომარეობა ძალიან მალე დარეგულირდა. ახლა საქართველოში სრული სიწყნარეა.

**— თქვენს პირველ მწვრთნელ თემურ ნადირაძეზე დღემდე ლეგენდები დადის... მართალია, რომ თქვენთვის და სხვა ბიჭებისთვის ბუცებს საკუთარი ფულით ყიდულობდა?**

— სრული სიმართლეა. თბილისში უფრო აქვს ხალხს ფული, თორემ პროვინციებში უჭირთ, თუმცა რას გიხსნით, რუსეთშიც ასე არ არის?!

**— ალბათ საფეხბურთო ოჯახიდან ხართ...**

— ვერ გამოიცანით, მამა ინჟინერია და ფეხბურთთან არანაირი შეხება არ ჰქონია. რაღაც მომენტში კი იმის წინააღმდეგიც იყო, მე რომ ვთამაშობდი.

**— რატომ?**

— სკოლიდან ცუდი ნიშნები მომქონდა. მამა ფიქრობდა, დილიდან საღამომდე ბურთისთვის დევნას სჯობდა, მესწავლა. ახლა უკვე სხვა აზრისაა.

**— ზედმეტი სახელი თუ გაქვთ?**

— კლუბში სახელს მეძახიან, ნაკრებში კი „ასათ"-ს. ორივე მომწონს.

**— რა გაკლიათ მოსკოვში?**

— მოიცათ, მოვიფიქრო... ქართული სამზარეულო? არა — ქართული რესტორნები აქ ბევრია. ისე, ძალიან მიყვარს რუსული ბორშჩი არაჟნით, რომელსაც ჩვენი მზარეული ბაზაზე ამზადებს. თანამემამულეებთან ურთიერთობა? პრინციპში არც ეს მაკლია, რუსეთში ქართველები თამაშობენ, არასაფეხბურთო სახეებთანაც მაქვს კარგი ურთიერთობა, მაგალითად, ტელეწამყვან თინა კანდელაკთან და მომღერალ ირაკლი ფირცხალავასთან. მის კონცერტებზე ხშირად დავდივარ.

**— რუსული უკვე კარგად აგითვისებიათ...**

— რა არის გასაკვირი... ოთხ წელიწადზე მეტია, მოსკოვში ვარ. ისე, რუსული სკოლაში სწავლის დროსაც მომწონდა...



კახა კალაძე და პაოლო მალდინი

# კახა კალაძემ წელი დახურა!

**კახა კალაძემ** და მისმა „მილანმა" წლის აკორდი ააჟღერეს — მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში „როსონერიმ" არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს" 4:2 მოუგო და ჩემპიონთა ლიგასა და სუპერთასს ახალი ჯილდოც დაამატა.

კახა ძირითადში გახლდათ, თამაში კი ბოლომდე იმიტომ ვერ ჩაამთავრა, რომ 77-ე წუთზე (ამ დროს 4:1 იყო) „ბოკას" მარტინ პალერმოს ეუხეშა და გააძევეს.

უფრო ვრცლად ამ მატჩზე მე-10 გვერდზე წერია...

სხვა ქართველ ლეგიონერებზეც ვთქვათ: ლევან კობიაშვილს „შალკეს" მიერ „ნიურნბერგის" 2:1 ძლევაში წილი არ დაუდია, რაკილა განაცხადში არ გახლდათ.

88 წუთი ითამაშა **ალექსანდრე იაშვილმა, მისი „კარლსრუე"** კი 1:1-ზე გაეყარა „ჰამბურგს".

მეორე ბუნდესლიგაში ერთადერთმა ქართველმა ითამაშა: **გიორგი** ონიანის „კარლ ცაისმა" შინ 1:2 დათმო „აუგსბურგთან" და ისევ გასავარდნ ზონაში დარჩა.

ინგლისში კვლავ იუქმა **ზურაბ ხიზანიშვილმა, „ბლექბერნმა"** კი „უიგანისგან" 5 გოლი გაუშვა და 3 გაიტანა.

შვეიცარიის თასის ნახევარფინალში გავიდა **სანდრო იაშვილის** „თუნი", რომელმაც „ციურიხს" დამატებით დროში 2:1 მოუგო. „იაშკას" მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია.

ავსტრიის მაქსბუნდესლიგის ტურის მთავარ მატჩში „შტურმმა" 1:1 ითამაშა ჩემპიონ „ზალცბურგთან" და ლიდერად დარჩა.

გრაცელთა გიორგი შაშიაშვილმა შეუცვლელად იბურთავა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბულგარეთი ტერი ვენეიბლზს ელის

**საქართველოს** ნაკრების მომავალ სამუნდიალშესარჩევო მეტოქე ბულგარეთს ამჟამად დიმიტარ პენევი წვრთნის და, არის შანსი, მომდევნო ციკლშიც იგი დარჩეს, თუმც უფრო სავარაუდოა, რომ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია უცხოელ სპეციალისტს დანიშნავს.

„კანდიდატთა მთელ სიას ვერ გამოვაქვეყნებთ, რადგან მათთან მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მაკედონიის ნაკრების თავკაც სრეჩკო კატანეცს ვესაუბრე, ახლა კი ინგლისელი ტერი ვენეიბლზისგან ველით პასუხს" — თქვა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნაკრების ისტორიაში უძლიერესმა მეკარე ბორისლავ მიხაილოვმა.



ტერი ვენეიბლზი

ვენეიბლზს თავის დროზე ესპანური „ბარსელონა" და ინგლისური „ტოტენჰემი", ასევე 90-იანი წლების შუაში ინგლისის ნაკრებიც გაუწვრთნია, ბოლოს კი იმავ ინგლისის ეროვნულ გუნდში აწ უკვე მოხსნილი სტივ მაკლარენის თანაშემწე გახლდათ.

**ილია ნანობაშვილი**

# სირაძის კურსი და პროგრამა

**სანამ** დავით სირაძის „პადერბორნი" გუშინ პირველი წრის ბოლო ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სტუმრობდა (1:1), საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი საქართველოში დაბრუნდა.

სირაძე გერმანიაში გამოკვლევაზე იმყოფებოდა.

გეხსომებათ, საქართველო — ლიტვის მატჩისას ბალტიელმა გედემინას პაულაუსკასმა მძიმე ტრავმა მიაყენა, რის შედეგად დათომ ტვინის მძიმე შერყევა მიიღო. საქართველოში დაწყებული მკურნალობა სირაძემ გერმანიაში გააგრძელა და სადღეისოდ მდგომარეობა სტაბილურია.

„ყველაფერი კარგადაა. მკურნალობის სრული კურსი გავიარე. გერმანიიდან საგანგებო პროგრამა გამოვატანეს, რომლის მიხედვით, 20 დეკემბრიდან მსუბუქ ვარჯიშს დავიწყებ. ახალ წელს საქართველოში შევხვდები, 2 იანვარს კი გერმანიაში ჩავალ და გუნდს შევუერთდები" — გვითხრა დათომ გუშინ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სეთურიძემ დაიწყო

**ხანგრძლივი** შესვენების შემდეგ, გიორგი სეთურიძემ „კარლ ცაისში" ვარჯიში განაახლა. 22 წლის ქართველი მარჯვენაფლანგელი ზაფხულში გადავიდა იენურ კლუბში და პირველივე ტესტ-მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო.

ისე მოხდა, რომ გიორგიმ ერთი შეხვედრაც ვერ გამართა მეორე ბუნდესლიგაში და გაისად, მეორე წრეშიღა ექნება დებიუტი.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი
## IX ტური. 16 დეკემბერი. სპორტის სასახლე

**ვითა 71:94 ავიამშენი**
*28:25 10:25 13:19 20:25*

ვითა: მარხვაშვილი (2), მ. ბერიშვილი (10), მარკოიშვილი (5), ბეჟანიშვილი (16), ბერძენიშვილი (18); ნივნივაძე (7), გვიმრაძე (5), ძიძიგური (4), ცერცვაძე (2), ნ. ნოზაძე (2), გასიტაშვილი
ავიამშენი: ნიკოლაძე (18), ტულუში (12), შანიძე (5), მინაშვილი (17), იმნაძე (4); ხოშტარია (18), როდუმტა (8), ნინიაშვილი (4), მოსეშვილი (2), კვიმსაძე (6)
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**დინამო 64:91 ენერჯი ინვესტი**
*18:28 15:14 14:24 17:25*

დინამო: ჟღენტი (9), გულისაბედაშვილი (16), ლაფანაშვილი (9), ახალკაცი (16), ათანელაშვილი (8); მაისურაძე (6), წერეთელი, სიგუა, კუჭავა, ნანიტაშვილი
ენერჯი ინვესტი: გამყრელიძე (15), ბოისა (10), დიდია (4), ლეჟავა (4), სტეფანოვი (26); ტუჯანი (11), გოგობერიშვილი (6), ცეკვავა (8), ჭოჭუა (3), დანელიანი (2), ლიპარტელიანი (2)
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**მაკაბი 79:82 თსუ**
*19:22 18:17 15:25 27:18*

მაკაბი: დ. ბერიშვილი (13), სორდია (13), კორკოტაძე (6), ს. შერმადინი (7), გ. შერმადინი (32 ქულა, 20 მოხსნა, 7 პასი); კოლუაშვილი (5), პირველაშვილი (3)
თსუ: კოხრეიძე (3), ხეცურიანი (15), ფანჩულიძე (16), კეიდია (16), მათიაშვილი (5); არნივიძე (19), ტყეშელაშვილი (6), ლოსაბერიძე (3), ჩიტაშვილი (1), ყველაშვილი
*მსაჯი: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

# ავიამშენმა ვითა დაქვითა


გიორგი ნიკოლაძეს (№8) დავით ბერძენიშვილმა ვერ დაუფარა

მერაბ ფოლადაშვილის ფოტო

**გაფრენამდე** ჯერ ბევრი უკლიათ, თუმცა წაგებებით ზურგადამძიმებული „ავიატორები" ცოტა წელში გაიმართნენ. ლევან მოსეშვილის გუნდმა სეზონის პირველი სერიოზული გამოცდა ჩააბარა — მეორე ადგილზე მყოფი „ვითა" დაამარცხა და როგორც იქნა, ცხრილის ფსკერს თავი დააღწია.

სერიოზული გამოცდა ჩააბარაო, ვთქვით „ავიატორებზე", თუმცა, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, მათთვის ყველა მატჩი გამოცდასავით გახდა — გინდა „ვითას" ხვდებოდნენ და გინდაც, ვთქვათ, „მაკაბის". მოსეშვილის შეგირდებმა ამ ჩემპიონატში მხოლოდ „დინამოს" მოუგეს ორჯერ, დანარჩენ მეტოქეებთან ვერაფერი გააწყვეს და „დამსახურებულად" იყვნენ ცხრილის ბოლო საფეხურზე.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ავიამშენი" სუპერლიგაში პირველად ეთამაშებოდა „ვითას" — პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა ნოემბრის ცნობილი მოვლენების გამო გადაიდო. „ავიამშენისთვის" ამ მატჩს დიდი ფასი ჰქონდა, რადგან ახლაც რომ წაეგოთ, ისედაც აღრენილ სპონსორს კიდევ უფრო აალელვებდნენ და არც ის იყო გამორიცხული, გუნდში ძირეული საკადრო ცვლილებები მომხდარიყო. უბრალოდ რომ ვთქვათ, სავარაუდო იყო, უსარგებლო ხალხი გუნდიდან დაეთხოვათ და...

პირველი მეოთხედი ისეთი გამოვიდა, თავ-ბოლოს ვერ გაუგებდით. უფრო სწორად, თამაში ისეთი თანაბარი იყო, ვერც ერთმა გუნდმა მცირედ უპირატესობასაც კი ვერ მიაღწია. თუკი „ვითას" ფარქვეშ აქტიური დავით ბერძენიშვილი ასაზრდოებდა და მის შემჩერებლად ვერც ერთი „ავიატორი" ვერ გამოდგა, მოსეშვილის გუნდს ფეხმარდი გიორგი ნიკოლაძე წინამძღოლობდა და პირველ მეოთხედში გუნდები კვალდაკვალ მისდევდნენ ერთმანეთს.

ბერძენიშვილმა თამაშის განახლებისთანავე მიითვალა ორქულიანი, თუმცა ეს მისი ერთ-ერთი ბოლო წარმატება იყო „ავიამშენის" ფარქვეშეთში. ამის მერე როდუმტამ სამწამიანში ბატონობა დაამყარა, მოსახსნელს ხსნიდა, ჩასაგდებს აგდებდა და „ავიატორებიც" მცირედით, მაგრამ წინ გაეიდნენ — 35:30.

მალე მოედანზე თორნიკე ნინიაშვილიც გამოვიდა, რომელიც ბოლო აგური გამოდგა „ავიატორთა" საიმედო და მყარი ფარქვეშა კოშკისთვის. მხოლოდ ტანმაღლები როდი აქტიურობდნენ — ხოშტარიასთან ერთად კოტე ტულუში და გიორგი ნიკოლაძეც კისკასობდნენ, რამაც მოსეშვილის გუნდს გვარიანი საპირველტაიმო ლიდერობა დაუბევა — 50:38.

შესვენებამ ხეირი ვერ მოუტანა „ვითას". გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი საკუთარ თავს არ ჰგავდა — მიხეილ ბერიშვილმა შვიდივე სამქულიანი გააცუდა და მოედანი უქულო 2 ქულით დატოვა. ფორმაში ვერ იყო ვერც გიორგი მარკოიშვილი, რომელსაც ისე მეურვეობდნენ „ავიატორები", რომ მას არათუ ჩაგდების, სროლის შესაძლებლობაც ძალიან იშვიათად ეძლეოდა. მესამე მეოთხედი ეკვატორს რომ გადასცდა, „ავიამშენის" ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა და ეს აქამდე ნახსენებ მოთამაშეებთან ერთად ვახტანგ მინაშვილის დამსახურებაც იყო.

ბოლო მეოთხედი ფიქტიური გამოდგა, რადგან „ვითამ" მხოლოდ ანგარიშის ოდნავ შემცირება მოახერხა — ცხადი იყო, რომ ათამაშებული „ავიატორები" გემრიელ ნადავლს ხელიდან აღარ გაუშვებდნენ და „ვითას" დამარცხებით ხასიათთან ერთად სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორეს.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი-ინვესტი | 8 | 8 | 0 | 16 |
| ვითა | 8 | 4 | 4 | 12 |
| თსუ | 8 | 4 | 4 | 12 |
| ავიამშენი | 8 | 3 | 5 | 11 |
| დინამო | 8 | 3 | 5 | 11 |
| მაკაბი | 8 | 2 | 6 | 10 |

# შერმადინს მუშტარი გამოუჩნდა

**გუშინ** სპორტის სასახლეში კოსტუმში გამოწყობილი იმპოზანტური შავკანიანი გამოჩნდა და როგორც აღმოჩნდა, მისი იქ ყოფნა გახლდათ „მაკაბისა" და თსუ-ს დაპირისპირების მთავარი ინტრიგა. უცნობი ამერიკელი სატრანსფერო სააგენტო „ლაივ სპორტის" აგენტი გახლდათ, რომელმაც ოკეანე მაკაბელი გიორგი შერმადინის სანახავად გადმოლახა.

მოთამაშეებმა კი არა, ლამის მთელმა დარბაზმა უწყოდა, რომ უცხოელი ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის შესათვალიერებლად იყო ჩამოსული და ცხადია, დიდი თუ პატარა, „მაკაბის" ცენტრს ქომაგობდა.

შერმადინს, ვინც აქამდე არავის და არაფერს რომ არ ერიდებოდა, ქულებსაც ბლომად იხვეჭდა და სხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებსაც, მაინცდამაინც ამ მატჩში გაუჭირდა: საბოლოოდ მან მაინც მოახერხა 32 ქულის მითვლა, მაგრამ აქედან 22 საჯარიმოს ხაზიდან მოაგროვა — სულ კი 28-ჯერ ესროლა, რაც ჩვენი ჩემპიონატების აბსოლუტური რეკორდია.

სამაგიეროდ, შერმადინს ფარზე არ ჰყოლია ბადალი და რკალიდან ასხლეტილი ბურთების მოხსნაში 20-ჯერ იყოჩაღა. მას ჰქონდა ასევე 7 მოხსნა და 2 ჩაჭრა, აი, 9 დაკარგვა კი ნამდვილად არ მოეწონებოდა ამერიკელ აგენტს.

ტოდ რამასარმა პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს კითხვაზე მოგვიგო, შერმადინზე ბევრი კარგი მსმენია და აქ მის სანახავად ჩამოვედიო, თუმცა როგორი შთაბეჭდილება დარჩა მაკაბელზე, ვერ გვითხრა — მე მხოლოდ ერთ ტაიმს ვუყურე და ამ დროში რამის განსაზღვრა ძალიან ძნელიაო.

როგორც „მაკაბის" თავკაცმა ჯამლე ხუხაშვილმა გვითხრა, შერმადინი ახალი წლის მერე საზღვარგარეთ აპირებს კარიერის გაგრძელებას, თუმცა სად და რა პირობებით, ეს არ დაუკონკრეტებია — ცოტა მოიცადეთ და ყველაფერი გაირკვევაო.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



# ფაჩულია ორმაგით დაბრუნდა

3 დეკემბერს ფილადელფიელ სამუელ დალემბერტთან შეჯახება ზაზა ფაჩულიას 6 თამაშის გამოტოვებად დაუჯდა. „ატლანტას" ქართველი ცენტრი გუნდს და მოედანს გასულ პარასკევს „დეტროიტთან" შეხვედრაში დაუბრუნდა და ორმაგი დუბლიც შეასრულა. 11 მოხსნა მისთვის სეზონის პირადი რეკორდია. საერთოდაც, ზაზა წლეულს პირველად ასცდა 10 მოხსნას და, შესაბამისად, პირველად გააზერხა ორმაგი დუბლიც.

„ატლანტა" კი მიმდინარე სეზონში უკვე მესამედ დამარცხდა „დეტროიტთან". ჩანს, „ქორებს" ჯერ იმ ზომაზე ვერ გაეზარდათ კლანჭები, რომ აღმოსავლეთის ამ ბობოლას ჩაასონ. ნბა-ს სტატისტიკოსებმა ამ დღეებში ოქმში კიდევ ერთი მაჩვენებელი ჩაამატეს. როგორც ჰოკეიში, აქაც დაიწყო ეგრეთ წოდებული ნაყოფიერების კოეფიციენტის აღრიცხვა. ეს ნაყოფიერების კოეფიციენტი გვეუბნება, რომ იმ 22 წუთში, რომელიც ფაჩულიამ მოედანზე გაატარა, მისმა გუნდმა მოწინააღმდეგეზე 17 ქულით ნაკლები ჩააგდო. შესაბამისად, ზაზას ოქმში -17 დაეწერა.

ქართველი ნაკლებად შესამჩნევი იყო მეორე დღეს შინ „შარლოტთან" შეხვედრაში. მან 16 წუთში 5 ქულა და 1 მოხსნა გააკეთა, ნაყოფიერების კოეფიციენტი კი +4 ჰქონდა. „ატლანტამ" ეს თამაში მოიგო და აღმოსავლეთის გაერთიანებულ ცხრილში მეშვიდე საპატიო ადგილი შეინარჩუნა 11 მოგებითა და 12 წაგებით.

### 14 დეკემბერი

**დეტროიტი 91:81 ატლანტა**
დეტროიტი: ბილაფსი (23), ჰამილტონი (18), პრინსი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ატლანტა: ა. ჯონსონი (8), ჯ. ჯონსონი (23), მ. უილიამსი (15), სმიტი (14), რაიტი (6 ქულა, 12 მოხსნა); ფაჩულია (22 წუთი, 10 ქულა, 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ლოუ (4), ვესტი (1), სტუდემაიერი, შ. უილიამსი, ჯონსი

**გოლდენ სტეიტი 108:106 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (22), ჰარინგტონი (22), ჯეკსონი (20), ელისი (19)
ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ოდომი (18)

**პორტლენდი 99:91 იუტა**
პორტლენდი: როი (29), აუთლოო (21)
იუტა: ბუზერი (22 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

**ჩიკაგო 101:96 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: დენგი (29), ნოჩიონი (17)
ნიუ იორკი: რენდოლფი (27), ჯონსი (22)

**ინდიანა 93:104 ტორონტო**
ინდიანა: დანლივი (23), ტინსლი(19)
ტორონტო: კაპონო (29), ბოში (22)

**ფილადელფია 29:109 საკრამენტო**
ფილადელფია: მილერი (24)
საკრამენტო: მილერი (25), მური (24)

**მინესოტა 88:99 სიეტლი**
მინესოტა: ჯეფერსონი (22)
სიეტლი: უილკოქსი (19)

**შარლოტი 87:103 ორლანდო**
შარლოტი: ფელტონი (18)
ორლანდო: ჰოვარდი (33 ქულა, 18 მოხსნა, 4 დაფარება), თურქოღლუ (22)

**ნიუ ჯერსი 105:97 კლივლენდი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (32), ჯეფერსონი (24)
კლივლენდი: ჯეიმსი (29 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ილგაუსკასი (21 ქულა, 12 მოხსნა)

**მემფისი 91:98 კლიპერსი**
მემფისი: მილერი (23), უორიკი (20)
კლიპერსი: კამანი (23), მაგეტი (23)

**დალასი 89:80 ნიუ ორლეანი**
დალასი: ტერი (25)
ნიუ ორლეანი: პოლი (22)

**ბოსტონი 104:82 მილუოკი**
ბოსტონი: პირსი (32), რონდო (18), გარნეტი (15)
მილუოკი: უილიამსი (14)

### 15 დეკემბერი

**ატლანტა 93:84 შარლოტი**
ატლანტა: ა. ჯონსონი (11), ჯონსონი (31), მ. უილიამსი (20), სმიტი (19 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჰორფორდი (6); ფაჩულია (16 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ვესტი (1), რაიტი, შ. უილიამსი, ჯონსი
შარლოტი: ვოლესი (24), კეროლი (24), ფელტონი (15), ოკაფორი (14 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 101:98 ფინიქსი**
ნიუ ორლეანი: პოლი (21), პიტერსენი (21)
ფინიქსი: ბარბოსა (19), ჰილი (17)

**სან ანტონიო 102:91 დენვერი**
სან ანტონიო: ობერტო (21 ქულა, 13 მოხსნა, 5 პასი), ფინლი (21)
დენვერი: აივერსონი (30)

**ჰიუსტონი 83:96 დალასი**
ჰიუსტონი: მინი (28), მაკგრეიდი (12)
დალასი: ჰოვარდი (23), ნოვიცკი (20 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა)

**კლივლენდი 86:92 ფილადელფია**
კლივლენდი: გუდენი (21), ჯეიმსი (21)
ფილადელფია: იგუდალა (20), მილერი (20)

**ორლანდო 119:123 მემფისი**
ორლანდო: ჰოვარდი (31 ქულა, 20 მოხსნა), თურქოღლუ (24)
მემფისი: გაი (32), ნავარო (27), მილერი (19 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**ვაშინგტონი 92:79 საკრამენტო**
ვაშინგტონი: სტივენსონი (19)
საკრამენტო: მილერი (21)

**ნიუ იორკი 94:86 ნიუ ჯერსი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (32), კარი (23)
ნიუ ჯერსი: კარტერი (24), კოდი (18)

**მაიამი 103:106 ინდიანა**
მაიამი: ვეიდი (24 ქულა, 9 პასი), მარიონი (24)
ინდიანა: ტინსლი (26), ონილი (24)

**მილუოკი 95:92 მინესოტა**
მილუოკი: რედი (32 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ძიანლიანი (22), უილიამსი (19)
მინესოტა: სმიტი (30 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფერსონი (23 ქულა, 15 მოხსნა)

**იუტა 96:75 სიეტლი**
იუტა: ბუზერი (21 ქულა, 16 მოხსნა)
სიეტლი: შჩერბიაკი (24)

ხელბურთი

# ჯერ თურქეთი, შემდეგ თელავი და ნორვეგია

**დღეს** საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები თურქეთში გაემგზავრებიან და სამ-სამ ამხანაგურ თამაშს ჩაატარებენ 19, 20 და 21 დეკემბერს. ეროვნული ნაკრები ამ შეხვედრებს მთავარ მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენებს 20 იანვარს ნორვეგიაში გასამართი „ჩელენჯ ტროფის" ფინალის წინ. აქცენტი ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე გაკეთდება. თბილისში დაბრუნებული გუნდი საახალწლოდ დაისვენებს და 6 იანვარს თელავში ორკვირიან დასკვნით მოსამზადებელ შეკრებას მოაწყობს, სადაც გამოიკვეთება კიდეც ნორვეგიაში წამსვლელი შემადგენლობა. გეტყვით, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა გერმანიის მე-4 ლიგაში მოთამაშე მეკარე არჩილ გარიშვილი. დანარჩენ თურქეთში წამსვლელ ხელბურთელთა ვინაობას ხვალ გაგაცნობთ იმის გამო, რომ გუშინდელი დღისთვის საბოლოოდ ყველაფერი გარკვეული არ იყო.

*იმედო ფხაკაძე, ნაკრების მთავარი მწვრთნელი:* აქამდე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდებოდა. თურქეთში გასამართ თამაშებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ვფიქრობ, თელავის ორკვირიანი შეკრება გვეყოფა იმისთვის, რომ გუნდი შეთამაშდეს და ფინალს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

აქვე გეტყვით, რომ ახალგაზრდულ გუნდს უკვე გარი თურქია ამზადებს, მასთან ოფიციალურად კონტრაქტის გაფორმებას კი ფედერაცია იანვარში აპირებს.

**ლევსო მაისურაძე**

# ლიუბეკმა კონკურენტს დათუკაშვილით მოუგო

**სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკმა" გერმანული ბუნდესლიგის მორიგ ტურში „მინდენს" უმასპინძლა და, როგორც იქნა, მოიგო — 33:25. ქართველის გუნდმა უშუალო კონკურენტს აჯობა, რადგან მეტოქე თამაშამდე ერთი ადგილით ზემოთ, მეჩვიდმეტეზე იყო და 2 ქულით უსწრებდა. ახლა კი ჩვენებურის „ლიუბეკმა" აიწია ცხრილში. სერგომ სტუმრებს 8 გოლი გაუტანა, ანუ ზუსტად იმდენი, რა სხვაობითაც მისმა გუნდმა იმარჯვა. თანაც, საკმაოდ აქტიურიც გახლდათ და ორ ორწუთიან გაძევებასაც გამოჰკრა ხელი. მის გარდა მასპინძელთა გამარჯვებაში წვლილი ტომიჩმაც შეიტანა, ვინც მომხვდურთ 10 ბურთი უძლვნა. როგორც ჩანს, „ლიუბეკი" ნელ-ნელა ფეხიზლდება, რადგან წინა თამაშიც საკმაოდ ძლიერ გუნდთან არცთუ დიდი სხვაობით დათმო, ახლა კი სულაც მთავარმეტოქე დაჯაბნა. ჯერ მთელი მეორე წრე გასავლელია და ბუნდესლიგაში დასარჩენად ბრძოლა ნამდვილად შეიძლება. აქვე ბომბარდირთა დავაზეც გეტყვით, სადაც არნე ნეიმაიერი ლიდერობს 109 გატანილი გოლით, სერგო მას 11 ბურთით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა.

**ლევსო მაისურაძე**

მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი

mondial 2007

ქალები. საფრანგეთი. 2-16 დეკემბერი

ნახევარფინალი

**რუსეთი 30:20 რუმინეთი**
პოსტნოვა 9, ანდრიუშინა 4;
მაირუშო 5, ნეაგუ 3, სტანკა 3

**ნორვეგია 33:30 გერმანია**
ლიბეკი 8, ნიბერგი 5;
იურაციკი 12, კრაუზე 5

**მესამე ადგილისთვის**
გერმანია 36:35 რუმინეთი

**ფინალი**
რუსეთი 29:24 ნორვეგია

# რუსი ქალების მსოფლიო

**ქალ** ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატებს ზუსტად ნახევარსაუკუნიანი ისტორია აქვს. შორეულ 1957 წელს იუგოსლავიაში გამართულ ცხრაგუნდა ტურნირში ყველას ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა აჯობა, ფინალში მათ უნგრელი დიაცები დაამარცხეს დღეისთვის წარმოუდგენელი ანგარიშით — 7:1.

უკვე ჩატარებულ 18 ჩემპიონატს 10 ტრიუმფატორი ჰყავს, რომელთაგანაც ოთხი ქვეყანა გეოგრაფიულ რუკაზე მაშინდელი სახით უკვე აღარ არსებობს — სსრკ (სამგზის ჩემპიონი), გდრ (3), ჩეხეთი (1), იუგოსლავია (1).

წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალში ოდენ ტიტულიანთა კვარტეტი გავიდა. რუსმა დიაცებმა რუმინელებთან უკვე პირველ ტაიმში გაინაღდეს საფინალო შანსი, როცა ძლიერი მეტოქე შესვენებამდე ცხრაბურთიანი სხვაობით ჩამოიტოვეს — 17:8 და საფინალო სასტვენამდეც არანაირი პრობლემა აღარ გასჩენიათ.

ნორვეგია-გერმანიის დაძაბულ დაპირისპირებაში თავიდანვე სკანდინაველი ხელბურთელები დაწინაურდნენ და შუა ტაიმში ხუთბურთიანი უპირატესობაც მოიპოვეს — 13:8, მერე — 18:12, თუმცა შესვენების წინ სხვაობა განახევრდა — 19:16.

საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე გერმანელებმა თავიანთ სნაიპერ გრიტ იურაციკის სამგოლიანი სერიით არათუ გაათანაბრეს ანგარიში, წინაც კი გავიდნენ — 26:25, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ნორვეგიელებისა აღმოჩნდა, მათ დარჩენილი სათამაშო პერიოდი ორმაგი სხვაობით — 8:4 მოიგეს და ფინალის საგზურიც მოიპოვეს.

**გია ახალაძე**

ცურვა



ლასლო ჩეხმა სამშობლოში პატარა წყალი დაიჩქარა

# ჩეხმა უნგრეთი გადარია

პარასკევს მომცრო უნგრულ ქალაქ დებრეცენში მსოფლიო რეკორდებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატი მოკლე წყალში, ანუ 25-მეტრიან აუზში ცურვაში. მადლობა მოცურავეებს, ამ სახეობაში, სხვათაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ მყარდება რეკორდები, თანაც ყოველ დიდრონ ტურნირზე არაერთი და იმ ფრანგ მეცნიერებასაც, რომლებიც ამბობენ, კაცობრიობა თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს უახლოვდება და 50 წლის შემდეგ რეკორდები საერთოდ არ დამყარდებაო, არ აწყენთ თავიანთი გამოკვლევების გადასინჯვა, ყოველ შემთხვევაში, მოცურავეთათვის მაინც უნდა გაზარდონ ეს 50-იანი მკვდარ-ცოცხალი პერიოდი.

დებრეცენში კი მსოფლიო რეკორდების ნუსხა პოლონელმა „მადამ ბატერფლაიმ", 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა ოტილია იედრეეშჩაკმა გახსნა, ვინც თავისივე რეკორდს წამზე მეტი მოაკლო და მოკლე აუზებისვის ახალ, თითით საჩვენებელ დროდ 2 წუთი და 3,53 წამი დაადგინა.

არ მეგონა, საკუთარ თავს ასეთ საჩუქარს თუ მივუძღვნიდიო, ხარობდა გემივით ვეება პოლონელი, რომელსაც ზუსტად იმ დღეს შეუსრულდა 24 წელი. იქნებ მართლაც მოულოდნელი იყო? ცუდად დაიწყო, პირველი ბრუნის შემდეგ მხოლოდ მეექვსე იყო, მაგრამ მერე ისე აასხმარტლა ხელ-ტან-ფეხი, რომ იმ დროს აუზში მაიკლ ფელპსიც რომ აღმოჩენილიყო, ეს გოგონა მასაც აყლაპებდა ქლორიან წყალს.

პარასკევსვე კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა და ამას ისეთი ჟრიამული მოჰყვა, რომ დებრეცენის კოხტა აუზის ჭერი ლამის ჩამოიქცა. უნგრელი ქომაგების კერპმა, ცურვის მსოფლიო ვარსკვლავმა ლასლო ჩეხმა თანამემამულეთა თვალწინაც ოქროს თევზივით გაიელვა — 200 მეტრ კომპლექსურ ცურვაში 1.52,99 შედეგით ახალი რეკორდი გამოაცხო. ესეც არ იკმარა და 24 საათში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, ახლა 400 კომპლექსურში (3.59,33) და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავისი ეპოქის ალბათ საუკეთესო უნივერსალია, რა თქმა უნდა, მაიკლ ფელპსის შემდეგ.

შაბათსვე კიდევ ორი რეკორდი გამოცხვა: ხორვატმა სანია იოვანოვიჩმა (50 მ გულაღმა — 26,50) და გერმანელ გოგონათა კომპლექსური ესტაფეტის ოთხეულმა (1.46,67) გაილამაზეს ეს ევროპის ჩემპიონატი.

რეკორდს ელოდნენ ლორ მანადუსგანაც, ოღონდ ამ 20 წლის მსოფლიო და ოლიმპიური მედლებით, აგრეთვე პირადი ცხოვრებით და სასიყვარულო პრობლემებით დაღლილმა ფრანგმა ლამაზმანმა თავისი წილი 400 თავისუფალი მეტრი ურეკორდოდ მოიგო.

და ერთიც: 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში, სწორედ იქ, სადაც იოვანოვიჩმა რეკორდის თანხლებით მოიგო, მესამე ადგილი მოიპოვა ვინმე ფაბიენ ნადარაიამ (Fabienne Nadarajah). ვერ მოგახსენებთ, ამ შავტუხა ავსტრიელ გოგონას ქართული ფესვები აქვს თუ არა. თუ ვინმემ დაზუსტებით იცით, დაგვირეკეთ, გეთაყვა.

**ძოტე ყორშია**

ჭადრაკი

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი. 22 ნოემბერი - 18 დეკემბერი

ფინალი

გატა კამსკი (აშშ) 2,5:1,5 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)

# კამსკის თასი

## გატამ თავისი მაინც გაიტანა

**ამერიკელი** გატა კამსკი მსოფლიოს თასის მფლობელია. დაძაბულ ბრძოლაში მან ალექსეი შიროვი დაამარცხა 2,5:1,5 და 15 კილოგრამიანი თასიც აღმართა.

ორივე მოჭადრაკე ძველი მეტოქე-მეგობარია და 1986 წლიდან სხვადასხვა ტურნირებზე თამაშობს. თავიდან, როგორც პატარები, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამოდიოდნენ, შემდეგ კი უკვე დიდ ჩემპიონატებზე. შიროვი უფრო ფეთქებადი ხასიათით გამოირჩევა, კამსკი კი პირიქით, წყნარია და პრაქტიკული.

ბოლო პარტიაში შიროვს მოგება ჭირდებოდა და ერთ მომენტში ამის შანსიც მიეცა, თუმც ვერ გამოიყენა და პირველობაც მეტოქეს დაუთმო.

დებიუტში დიდოსტატებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს, ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანეს და ერთმანეთს დაერივნენ. კამსკიმ პაიკები დაძრა წინ, მარცხენა ფლანგიდან გააქტიურდა და ლაზიერ-ეტლის დუეტი აამოქმედა. 27-ე სვლაზე მან ხარისხი შესწირა შიროვს, ეტლი კუში გაუცვალა და ამით ცენტრში უკეთესი პოზიცია მიიღო. კამსკი e ხოლზე მდგარი პაიკის გაყვანას შეუდგა, ჩასათვლელ ხაზამდე ერთი ნაბიჯით მიაახლოვა და 35-ე სვლაზე სასურველ ყაიმს გამორჩა.

გამარჯვებული კამსკი მომავალ წელს მსოფლიოს ექსჩემპიონს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს შეხვდება და თუ მოუგო, მოქმედ ჩემპიონს სატიტულოდ დაუპირისპირდება.

**ლაშა გეგეჭკორი**



რაგბი




მალხაზ ჭეიშვილის ჩანაცვლება გია ნიჟარაძეს ტიმ ლეინით სურს

# ორცეცხლშუა ლეინი

## ავსტრალიელს ნაკრები მოსწონს, ოჯახი აფერხებს

„ორ დღეში სამშობლოში უნდა დავბრუნდე, ოჯახს დაველაპარაკო და საბოლოო პასუხს ნაახალწლევს გეტყვით" — გვითხრა გუშინ თბილისში ჩამოსულმა ავსტრალიელმა ტიმ ლეინმა, ვინც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის უმთავრეს კანდიდატად მოიაზრება და ჩვენი რაგბის კავშირთან მოსალაპარაკებლად გვესტუმრა.

გუშინ, ისანში, საქართველოს რაგბის კავშირის კუთვნილ „შევარდენის" სტადიონზე, ღია ცის ქვეშ სახელდახელო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც 40 წლის ტიმ ლეინის გაცნობა უფრო იყო, ვიდრე მისი „პრეზენტაცია". საქმე ისაა, რომ ლეინს ჯერ არ გადაუწყვეტია, დათანხმდება თუ არა „ლელოების" თავკაცობას.

სანამ ტიმ ლეინის კითხვა-პასუხზე ვიტყოდეთ, მის სამწვრთნელო კარიერას გადავავლოთ თვალი.

ტიმ ლეინმა მწვრთნელობა 16 წლის წინ დაიწყო, ოთხი წელი სამოყვარულო დონეზე მუშაობდა, 1997-2000 წლებში კი ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის როდ მაკქვინის ასისტენტი იყო. იმ დროს, 1999 წელს, ავსტრალია მსოფლიოს და სამი ერის ჩემპიონი გახდა. 2000-2001 წლებში ლეინი ელიტარულ ფრანგულ კლუბ „მონფერანს" თავკაცობდა, სადაც საკლუბო კარიერას ასრულებდა ლევან ცაბაძე. იმ სეზონში „მონფერანმა" საფრანგეთის რეგულარული ჩემპიონატი მოიგო და პლეი ოფის ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ დიმიტრი იაშვილის „ბიარიცთან" წააგო. 2001 წელს ლეინი სამხრეთ აფრიკის მთავარ მწვრთნელ რუდი სტრაულის ასისტენტად დაინიშნა, მაგრამ მასთან კონფლიქტის გამო 2003 წლის მსოფლიოს თასამდე თანამდებობა დატოვა. იმავე სეზონში ზე-14-ის იოჰანესბურგის „კეთსი" ჩაიბარა, მაგრამ კლუბი ბოლო ადგილზე გავიდა და ლეინი უმუშევარი დარჩა. 2004-2005 წლებში ლეინი იტალიის ნაკრების ახალზელანდიელ მწვრთნელ ჯონ ქირვანის ასისტენტად დაინიშნა, შარშან კი ფრანგულ კლუბს, გია ლაბაძის „ტულონს" წვრთნიდა და ელიტ 2-დან უმთავრეს ელიტაში ვერ აიყვანა.

როგორც ხედავთ, სანაკრებო დონეზე ტიმ ლეინს მხოლოდ თანაშემწედ ანუ მეორე მწვრთნელად უმუშავია, მისი ძირითადი ფუნქცია კი უკანა ხაზის გაწვრთნაა. სწორედ ამაზე გაამახვილა გუშინ ყურადღება საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა *გია ნიჟარაძემ*. „დასამალი რაა, უცხოელი მწვრთნელებიდან ტიმ ლეინი ერთადერთი კანდიდატურაა. დანარჩენებს კი ან ჩვენ ვუთხარით უარი, ან თავად იუარეს ჩვენთან მუშაობა. უკეთესი ვარიანტებიც იყო, მაგრამ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები ნაღდად ვერ გასწვდებოდა მათ მოთხოვნებს. ზოგს უკვე გაფორმებული ჰქონდა სამას და ოთხასათასიანი კონტრაქტები. ტიმ ლეინს თვეში 10 ათასს დოლარს ვთავაზობთ და ვითხოვთ, საქართველოში მინიმუმ ექვსი თვე გაატაროს, დაესწროს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, რადგან მომავალი მსოფლიოს თასისთვის გუნდის ხერხემალი სწორედ აქ მოთამაშე ბიჭებმა უნდა შეადგინონ. ამასთან ერთად მან უნდა შექმნას სამწვრთნელო სისტემა, კოორდინირება გაუწიოს ყველა ასაკობრივ ნაკრებს და მოაწყოს სამწვრთნელო სემინარები. საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა, მისი ამბიციების გათვალისწინებით, ნამდვილი გამოწვევაა. იგი ყოველთვის მეორე მწვრთნელად მუშაობდა, ახლა კი შანსი აქვს, პირველი გახდეს, რამაც ძალიან დააინტერესა. დანარჩენს თავად გეტყვით".

ახლა კი *ტიმ ლეინს* მოვუსმინოთ:

— რადგან აქ ვარ, ესე იგი თქვენი რაგბის კავშირის შემოთავაზებამ დამაინტერესა. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა. გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დეტალიღაა შესათანხმებელი. თანაც, სანამ საბოლოო პასუხს ვიტყოდე, ოჯახსაც უნდა დაველაპარაკო. ბოლო წლებია, ჩემი სამსახურის გამო ოჯახი ფაქტობრივად მიტოვებული მყავს. თანახმა ვარ, წელიწადში ექვსი თვე საქართველოში ვიცხოვრო, აქტიურად ჩავება შიდა რაგბის განვითარებაშიც. ამიტომაც კვლავ მომიწევს ოჯახთან განშორება. მყავს მეუღლე და სამი შვილი. უფროსი ვაჟი ახლა ეროვნულ გამოცდებს აბარებს, შუათანა და უმცროსი კი სკოლაში დადიან და აქ ვერ ჩამომყვებიან. არის კიდევ ერთი ფაქტორი — როგორც ვიცი, მთავრობა რაგბიში დიდი ინვესტიციების ჩადებას აპირებს, ახლა კი არჩევნები იქნება. ამის შემდეგ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს — მე მინდა საქართველოს ნაკრებში მუშაობა, მაგრამ ამ ფაქტორების გამო ცოტა ფიქრი მომიწევს. მაქსიმუმ ერთ თვეში კი, როდესაც ყველაფერს შევათანხმებ, საბოლოო პასუხსაც ვიტყვი.

ამის შემდეგ ტიმ ლეინმა ქართველ მორაგბეებზეც ისაუბრა. განსაკუთრებით კი თავისი ნაშეგირდალი გია ლაბაძე გამოარჩია, ვინც შარშან ლეინის გაწვრთნილ „ტულონს" კაპიტნობდა. ლეინის თქმით, გარკვეული ინფორმაცია გია ლაბაძისგანაც მიიღო, საქართველოს ნაკრების მატჩები კი 2003 და 2007 წლების მსოფლიოს თასებზე ნახა. ლეინმა დაგვაიმედა, ქართული რაგბი სწრაფად პროგრესირებს და 5-10 წელიწადში იტალიას გაასწრებთო.

შეხვედრას ესწრებოდა ჯერჯერობით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი, რომელმაც გვითხრა: „ვფიქრობ, რომ რაგბის კავშირმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ნაკრები კიდევ უფრო განვითარდება. წლევანდელი მსოფლიოს თასით ნაკრების ისტორიის ერთი ფურცელი დაიწერა, ახალი ფურცელი კი ახალმა მწვრთნელმა უნდა დაწეროს. მზად ვარ, ნებისმიერ დრო დავეხმარო ლეინს და ნებისმიერი ინფორმაცია მივაწოდო. ვფიქრობ, ლეინს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ქართველი მრჩეველი და მჯერა, ისიც ამავე აზრისაა".

ერთიც, თუ ტიმ ლეინი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას დათანხმდა, მისი კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება. კავშირი კი მისგან მინიმუმ 2011 წლის მსოფლიოს თასზე თამაშს და მაქსიმუმ ჯგუფიდან გასვლას ითხოვს.

**ბაჩო სვანიძე**

ავტორბოლა

# დენის-ბრიატორეს როქი

ფინელი მევორმულე ჰეიკი კოვალაინენი ...ტო, შთამბეჭდავი შედეგის (... კლასიფიკაციაში) მიუხედავად, „რენომ" კი დაითხოვა, მაგრამ აშკარად ნიჭიერი პილოტი, როგორც მოსალოდნელი იყო, უმუშევარი არ დარჩენილა. იგი თვით „მაკლარენ-მერსედესმა" ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს შემცვლელად წაიყვანა.

ერთი სიტყვით, მაკების ბოს დენისსა და რენოელთა შეფ ბრიატორეს შორის ერთგვარი როქიც კი გამოვიდა ალონსო-კოვალაინენის სახით და ეს გაცვლა, იმედია, ორმხრივ სასურველ შედეგს მოიტანს.

ამ ტრანსფერით პრაქტიკულად დასრულდა საგაისოდ გუნდების შემადგენლობათა დაკომპლექტება. დასაზუსტებელი დარჩა მხოლოდ ახალ საგუნდო „ფორს-იტალიის" დუეტი, რომელზეც ხუთი-ექვსი პილოტი აცხადებს პრეტენზიას, მათ შორის, სუპერვეტერანები ჯანკარლო ფიზიკელა, რალფ შუმახერი.

**გია ახალაძე**

სნუკერი

**დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატი ტელფორდი. ინგლისი. 8-16 დეკემბერი**




# ჯადოქრობა ჩაის კოვზით

**სტივ მაგუაერი** რონი ოსალივანის წინააღმდეგ — ასეთი გამოვიდა სნუკერისტთა 2007-08 წლების სეზონის რიგით მეოთხე, მნიშვნელობით კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე აღმატებული ტურნირის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატის ფინალი.

უაღრესად სტაბილური, შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელ სეზონში ყველაზე სტაბილურად მაღალ დონეზე მოთამაშე შოტლანდიელი სნუკერის ჯადოქრის, აბსოლუტურად ამოუცნობი და არაპროგნოზირებადი ინგლისელის წინააღმდეგ.

მაგუაერის ანგარიშზე სადღეისოდ, მხოლოდ სამი სარეიტინგო ტიტულია, მაშინ, როდესაც რონის აქტივში 18 ასეთი გამარჯვებაა, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ სტივმა წინა სარეიტინგო შეჯიბრი „ჩრდილოეთ ირლანდიის დიდი პრიზი" მოიგო, ანუ ზედიზედ მეორე ფინალს უწია, ხოლო რონიმ ბოლოჯერ 2005 წელს მოიპოვა სარეიტინგო ტიტული.

მაგუაერის საფინალო გზა უაღრესად შთამბეჭდავად გამოიყურება. სქოთმა ტელფორდში ოთხივე მეტოქეს — ირლანდიელ ჯო სვაილს, ინგლისელ იან მაკალოჰს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ უელსელ მარკ უილიამსსა და პრინციპულ მეტოქეს, მსოფლიოს კიდევ ერთ ექსჩემპიონს, ინგლისელ შონ მერფის — ერთნაირი ანგარიშით, 9:5 მოუგო.

მერფისთან ნახევარფინალურ დაპირისპირებაში მაგუაერი ორი სერიის შემდეგ, ანუ დიდი შესვენებისთვის 7:1 ანადგურებდა მეტოქეს. თუმცა, მერფიმ მაინც გაიბრძოლა და 5:8-მდე შეამცირა ჩამორჩენა, მაგრამ მე-14 ფრეიმში შოტლანდიელმა მოიგო, მატჩში მესამე, ხოლო ტურნირზე მეშვიდე ასქულიანი ბრეიკი გააკეთა, ფინალში გავიდა და თანაც, მერფი სნუკერისტთა წინასწარი რეიტინგის სათავიდანაც დააქვეითა.

ფინალამდე არანაკლებ შთამბეჭდავი, თუმცა გაცილებით ზიგზაგიანი გზით იარა ოსალივანმა, რომელმაც ამ გზაზე ოთხ თანამემამულეს აჯობა — მაიკლ ჰოლტი 9:6 დასცა, მარკ კინგი 9:1 გაანადგურა, ჯეიმი კოუპს 9:2 გადაუარა და ბოლოს იყო მარკ სელბისთან უაღრესად დრამატული ნახევარფინალი.

სელბი თავიდანვე დაიწინაურდა — 3:0, 4:1 და ოსალივანმა შესვენებისთვის მცირედითღა შეამცირა ჩამორჩენა — 5:3 სელბის სასარგებლოდ. განახლდა მატჩი და სელბიმ მორიგი ფრეიმი მოიგო, ანგარიში 6:3 გახდა და ამ დროს გუნებაწამხდარი რონი მის ხელში, ღმერთმა უწყის, საიდან მოხვედრილ ჩაის კოვზს ნერვულად ათამაშებდა.

ეტყობა, ჯადოქარი, ამ ჩაის კოვზით რაღაცას ჯადოქრობდა. ყოველ შემთხვევაში, მე-10 ფრეიმიდან სურათი შეიცვალა. ოსალივანმა ზედიზედ ორი პარტია მარტივად მოიგო და მართალია, მე-12 ფრეიმში ისევ სელბიმ იძალა, მუსიკას, უკვე რონი უკვეთავდა და ზედიზედ სამ პარტიაში გამარჯვებით, ის პირველად დაწინაურდა მატჩში — 8:7.

სელბიმ ბოლომდე იბრძოლა და ანგარიში გაათანაბრა, ბოლო, მე-17 ფრეიმში კი მეტევის დაწყებაც სცადა, მაგრამ შეცდომა დაუშვა და რონისთვის გზა უკვე ხსნილი იყო და ჩაის კოვზი აღარავის ახსოვდა. ოსალივანმა დაიწყო და დაასრულა — თხუთმეტივე წითელ ბურთულას კვალში შავი დაადევნა და გადამწყვეტ ფრეიმში მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა.

პროფესიონალური სნუკერის ისტორიაში ეს აღმოჩნდა სარეიტინგო ტურნირებზე გაკეთებული საიუბილეო, მე-60 მაქსიმალური ბრეიკი და ამ სამოციდან 8 რონი ოსალივანის ანგარიშზეა, რითაც ის გაუთანაბრდა რეკორდსმენს, თანამედროვე სნუკერის ყველაზე ტიტულიან მოთამაშეს, შოტლანდიელ სტივ ჰენდრის.

## რეგულარული ჩემპიონატი

14 დეკემბერი

**ვაშინგტონი 3:5 ბუფალო**
*1:1 1:1 1:3*
1:0 ოვეჩკინი (14), 1:1 როი (19), 2:1 ბექსტრომი (21), 2:2 აფინოგენოვი (39), 2:3 სტეფორდი (41), 3:3 ლაიხი (46), 3:4 კონოლი (57), 3:5 ხეხტი (59)

**ატლანტა 0:4 ტორონტო**
*0:0 0:2 0:2*
0:1 დავრო (28), 0:2 სუნდინი (31), 0:3 პონიკაროვსკი (57), 0:4 პონიკაროვსკი (59)

**კაროლინა 3:4 კალგარი**
*1:1 1:1 1:2*
0:1 პუსელიოუსი (5), 1:1 ლარუა (6), 1:2 ბოიდი (35), 2:2 ადამსი (36), 2:3 იგინლა (41), 3:3 კალენი (48), 3:4 ფანაფი (52)

**ანაჰაიმი 2:5 მინესოტა**
*0:1 0:4 2:0*
0:1 ვორომში (13), 0:2 გაბორიკი (26), 0:3 ბელანჟე (27), 0:4 როლსტონი (36), 0:5 ბარნსი (37), 1:5 მაი (54), 2:5 ბერტუცი (60)

15 დეკემბერი

**ოტავა 7:3 ატლანტა**
*3:1 2:1 2:1*
1:0 ფიოლინიო (3), 2:0 კელი (11), 2:1 კოვალჩუკი (11), 3:1 მესაროში (15), 4:1 კორვო (22), 5:1 ჰიტლი (29), 5:2 პერენი (36), 5:3 კოვალჩუკი (59), 6:3 ჰიტლი (53), 7:3 ვერმეტი (59)

**ნიუ ჯერსი 1:4 ფინიქსი**
*0:0 0:1 1:3*
0:1 მოსტრომი (24), 0:2 ურბატა (46), 0:3 მოსტრომი (50), 1:3 პარიზე (54), 1:4 პანზალი (58)

**სან ხოსე 2:4 დალასი**
*1:0 1:3 0:1*
1:0 სეტოგუჩი (8), 1:1 მოროუ (25), 2:1 რისმილერი (26), 2:2 რიბეირო (51), 2:3 მიეტინენი (37), 2:4 ოტი (60)

**აილენდერსი 2:3 პიტსბურგი**
*0:2 2:1 0:0*
0:1 კროსბი (3), 0:2 უიტნი (7), 1:2 პარკი (25), 2:2 ვასიჩეკი (26), 2:3 კენედი (35)

**მონრეალი 4:1 ტორონტო**
*1:0 2:0 1:1*
1:0 კოვევ (10), 2:0 კოვევ (24), 3:0 კოსტიცინი (32), 4:0 კოვალიოვი (49), 4:1 დევრო (56)

**დეტროიტი 5:2 ფლორიდა**
*1:0 1:2 3:0*
1:0 დაციუკი (7), 1:1 ოლესენი (21), 1:2 დევორეცკი (25), 2:2 ფრანცენი (29), 3:2 კლირი (46), 4:2 რაფალსკი (47), 5:2 ფილპულა (52)

**ბუფალო 3:1 ჩიკაგო**
*0:1 2:0 1:0*
0:1 კეინი (3), 1:1 ვანეკი (23), 2:1 სტეფორდი (31), 3:1 პომინვილი (60)

**ფილადელფია 5:6 კაროლინა**
*1:2 2:2 2:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 ლუპული (10), 1:1 ვალინი (14), 1:2 უოკერი (16), 1:3 კალენი (23), 2:3 პარტნელი (26), 3:3 ლუპული (28), 3:4 სტაალი (34), 4:4 ბრიარი (41), 4:5 ლეტოვსკი (47), 5:5 ლუპული (52)

**ბოსტონი 2:0 კოლუმბუსი**
*1:0 0:0 1:0*
1:0 რაიხი (4), 2:0 შტურმი (60)

**ტამპა 2:3 ვაშინგტონი**
*1:1 1:1 0:1*
1:0 რიუნჯერი (5), 1:1 ფლეიშმანი (15), 1:2 სტიაველი (21), 2:2 ლეკავალიე (26), 2:3 პოტი (46)

**კოლორადო 3:1 ნეშვილი**
*0:0 2:1 1:0*
1:0 შნაბელი (25), 2:0 სვატოში (35), 2:1 ჟელინა (36), 3:1 ლეოპოლდი (51)

**ედმონტონი 2:1 ვანკუვერი**
*0:0 0:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 პორკოფი (57), 1:1 ოლუნდი (59)

**ლოს ანჯელესი 1:2 მინესოტა**
*0:1 0:1 1:0*
0:1 გაბორიკი (4), 0:2 როლსტონი (27) 1:2 ბლეიკი (59)



# მორგენშტერნმა ყველანი გააშტერა და დაჩუთა...

**გასულ** პარასკევს და შაბათს ავსტრიულ ვილბახში თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპები გაიმართა. პროგრამაში საშუალო (HS 98) ტრამლინიდან ხტომები იყო და ორივე ჯერზე — პარასკევსაც და შაბათსაც, ავსტრიელმა ტომას მორგენშტერნმა იმარჯვა და სეზონის სტარტიდან მოყოლებული, თავისი ფანტასტიკური სერია ზედიზედ ხუთ მოგებამდე გაზარდა, რაც ყველა დროის აბსოლუტური რეკორდია.

სეზონის საწყისი ოთხი ეტაპის მოგება აქამდე ორ სპორტსმენს მოეხერხებინა — 1984 წელს ავსტრიელ ანდრეას ფელდერს და ოცი წლის შემდეგ ფინელ იანე აჰონენს და აი, მათი რეკორდი 21 წლის მორგენშტერნმა გააუმჯობესა. ამ ჯეელმა ავსტრიელმა პირველად ტურინის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დაიქუხა, როდესაც დიდ ტრამპლინზე პირად პირველობაშიც იმარჯვა და თანამემამულეებთან ერთად გუნდური ოქროც მოიპოვა. ტურინული ტრიუმფის შემდეგ მორგენშტერნს შარშანდელი სეზონი ჩაუვარდა და აი, წლეულს კი მისი ბადალი ნამდვილად არავინ არის.

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მორგენშტერნი მაქსიმალური, 500 ქულით დიდი უპირატესობით ლიდერობს. მეორე ადგილზე კიდევ ერთი ავსტრიელი, ნორჩი გრეგორ შლირენცაუერია, ხოლო მესამეზე მსოფლიოს თასის ორგზის მოგებმა და ტურინის ოლიმპიადაზე კრახის შემდეგ სალათას ძილიდან ახლახა გამორკვეულმა ფინელმა იანე აჰონენმა აინაცვლა.



**მსოფლიოს თასი. ვილბახი. ავსტრია. 13-14 დეკემბერი**

**პირადი HS 98**

1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) 249,5 ქულა (95,0 მ და 95,0 მ)
2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 243,5 (92,5 და 93,5)
3. იანე აჰონენი (ფინეთი) 258,5 (91,0 და 94,0)
4. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) 236,0 (89,5 და 93,5)
5. რომან კოუდელკა (ჩეხეთი) 236,0 (91,0 და 92,5)

**საერთო ჩათვლა**

1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) 500 ქულა
2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 299
3. იანე აჰონენი (ფინეთი) 244
4. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) 205
5. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) 202

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა, 17 დეკემბერი | | | | | | |
| 23:15 | 17 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| | | ინგლისი. Carling Cup, 18 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 18 | სიტი-ტოტენჰემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 19 | ბლექბერნი-არსენალი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 20 | ჩელსი-ლივერპული | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| | | ჰოკეი. შვედეთი, 18 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 395 | მოდო-ლინჩიოპინგი | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 21:00 | 396 | ლულეო-აიკ | 1.90 | 4.20 | 2.70 | 1.30 | 1.11 | 1.64 |
| 21:00 | 397 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1.40 | 4.50 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.19 |
| 21:00 | 398 | მორა-ტიმრო | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| 21:00 | 399 | ფროლუნდა-ფერიოსტადი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 21:00 | 400 | იურგორდენი-სოდერტელიე | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |
| | | ჰოკეი. ფინეთი, 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 407 | ჰელსინკი-ჰამეენლინა | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 20:30 | 408 | ილვესი-ესპო | 1.40 | 4.50 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.19 |
| 20:30 | 409 | იუვესკულე-ტაპარა | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 20:30 | 410 | კერპეტი-საიპა | 1.30 | 4.80 | 5.50 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| 20:30 | 411 | პელიკანსი-კალპა | 1.25 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.72 |
| 20:30 | 412 | ტურკუ-ესპოო | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 413 | ლუკო-იოკერიტი | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი, 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 442 | კოშიცე-მიკულაში | 1.60 | 4.30 | 3.30 | 1.16 | 1.07 | 1.86 |
| 20:00 | 443 | სკალიცა-ზვოლენი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:00 | 444 | კეჟმაროკი-ტრენჩინი | 2.45 | 4.10 | 2.00 | 1.53 | 1.10 | 1.34 |
| 20:00 | 445 | ნიტრა-პოპრადი | 2.40 | 4.10 | 2.10 | 1.51 | 1.12 | 1.38 |
| 20:00 | 446 | სლოვანი-მარტინი | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია, 18 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 466 | ციურიხი-ამბრი | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 467 | დავოსი-ბაზელი | 1.22 | 5.30 | 6.50 | 1.00 | 1.02 | 2.91 |
| 19:00 | 468 | ფრიბურგი-სერვეტი | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 19:00 | 469 | კლოტენი-ამბრი | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |
| 19:00 | 470 | ლუგანო-რაპერსვილი | 1.65 | 4.30 | 3.30 | 1.19 | 1.10 | 1.86 |
| 19:00 | 471 | ციურიხი-ბერნი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 19:00 | 472 | ცუგი-ლანგნაუ | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10018 | სიტი-ტოტენჰემი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10019 | ბლექბერნი-არსენალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10020 | ჩელსი-ლივერპული | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11018 | სიტი-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11019 | ბლექბერნი-არსენალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11020 | ჩელსი-ლივერპული | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 2.00 | 1.60 |
| 12018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12019 | ბლექბერნი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ბლექბერნი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.30 | 2.50 |
| 14018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14019 | ბლექბერნი-არსენალი | 1.90 | 1.90 |
| 14020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | სიტი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბლექბერნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.17 | 4.10 |
| 16018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.95 |
| 16019 | ბლექბერნი-არსენალი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | ჩელსი-ლივერპული | 1.34 | 2.80 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17017 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბლექბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



# რივერის ახალი თავი

## სიმეონემ იცის, რა უნდა

**არგენტინული** „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიეგო სიმეონე გახდა. მან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმიანობას 3 იანვრიდან შეუდგება.

სიმეონემ ამ პოსტზე წინა თვეში გადამდგარი დანიელ პასარელა შეცვალა, რომელიც მას მერე წავიდა, რაც „რივერმა“ „კოპა სუდამერიკანაზე“ „არსენალთან“ წააგო და მიმდინარე სეზონში უტიტულოდ დარჩა.

სხვათა შორის, „ბოკა ხუნიორსთან“ ერთად, არგენტინული ფეხბურთის გრანდი „რივერ პლეიტი“ ბოლო ექვსი წელია, უტიტულოდაა. ცხადია, ეს საგანგაშო და ძალიან უსიამოვნოა ამ კლუბის ხელმძღვანელობისა და მრავალრიცხოვანი ფანებისთვის.

37 წლის სიმეონეს, ვისაც წამყვან ევროპულ კლუბებში აქვს ნათამაშები, არგენტინის ნაკრების მაისური 106-ჯერ მოურგია. ყოფილმა ნახევარმცველმა მწვრთნელობა 2005 წელს არგენტინულ „რასინგში“ დაიწყო, მალევე „ესტუდიანტესს“ მიაშურა და „სტუდენტებთან“ ერთად ეროვნული ჩემპიონატიც მოიგო, რითაც წამყვანი კლუბების ყურადღება მიიქცია.

„რივერ პლეიტის“ პრეზიდენტი ხოსე მარია აგილარი: „დიდი მადლობა დანიელ პასარელას ყველაფრისთვის. ახალ მწვრთნელ დიეგო სიმეონეს კი წარმატებებს ვუსურვებთ. იგი უდავოდ ძალიან ნიჭიერია და მოხარულნი ვართ, რომ მასთან შეთანხმებას მივაღწიეთ“.

„ეს უდიდესი გამოწვევაა, გამოწვევები კი მიყვარს. თუმცა კარგად მესმის, რამხელა პასუხისმგებლობა მეკისრება. ყველანი ერთად ვეცდებით, „რივერი“ იმ ადგილზე დავაბრუნოთ, რომელსაც იმსახურებს და მისი უამრავი ფანი გავახაროთ. ისიც ვიცი, რას ნიშნავს, როცა ახალგაზრდულ ასაკში „რივერში“ ხარ და რა არის საჭირო ფეხბურთელების მოტივირებისთვის. იმედია, დასახულ მიზნებს მივაღწევ“ — თქვა სიმეონემ, რომლის ორი ვაჟიც „რივერ პლეიტის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# კალიარიმ ფოჯა მოკვეთა

**სარდინიული** „კალიარის“ ლიდერი დღემდე პასკუალე ფოჯა გახლდათ, მაგრამ კუნძულელთა ხელმძღვანელობამ იგი გაურკვეველი ვადით გუნდიდან მოიკვეთა.

საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი ვარჯიშისას ფოჯა და „კალიარის“ ნახევარმცველი დავიდე მარკინი წაკინკლავდნენ. ამას სერიოზული გაგრძელება მოჰყვა. მარკინის თქმით, ერთ-ერთ კაფეში ფოჯას მისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია და სკამი უსვრია. ამბობენ, მარკინის საქმის გასარჩევად ფოჯას ძმაბიჭებმაც მიაკითხესო...

„ფოჯა გუნდიდან რამდენიმე დღით არის მოკვეთილი. პასკუალე დაისვენებს და ვარჯიშს სამშაბათიდან განაახლებს“ — თქვა „კალიარის“ მწვრთნელმა ნედო სონეტიმ.

მიუხედავად სონეტის ამ განცხადებისა, იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ სარდინიელები იანვარში „ძველბიჭური“ მენტალიტეტის მქონე ფოჯას ტრანსფერზე დააყენებენ და გაყიდიან.

# ლიპი ბარსაში?

**იტალიურ-ესპანური** პრესის ცნობით, მარჩელო ლიპიმ კატალონიური „ბარსელონასგან“ მიიღო წინადადება და დიდი შანსია, იანვარშივე თუ არა, მომავალი ზაფხულიდან „ბარსას“ მწვრთნელი გახდეს.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონადან“ ფრანკ რაიკარდის წასვლის შესახებ დიდი ხანია, ლაპარაკობენ. „ტუტოსპორტის“ ცნობით, ამ პოსტზე ლიპის მთავარი კონკურენტი ჟოზე მაურინიუა.

# ინტერი მარესკასაც მიადგა

**მილანის** „ინტერს“ თითქოს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ტრავმების ეპიდემიის გამო ნახევარდაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს და „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, შესაძლოა, „ნერაძურიმ“ იანვარში ენცო მარესკა დაიმატოს.

მარესკა, რომელიც თებერვალში 28 წლის გახდება, „მილანის“ ახალგაზრდულ გუნდშია გაზრდილი, კარიერის დიდი ნაწილი „იუვენტუსში“ გაატარა და 2004-2005 წლების სეზონიდან „სევილიაში“ თამაშობს. ნიჭიერ ნახევარმცველს ესპანური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და წასვლაზე ამიტომ ფიქრობს.

**კოკი კანდელაკი**

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

# კარლო ანჩელოტი: კიდევ მინდა!

## კაკა კომბლეა: ოქროს ბურთებს თლის და ჭერში აწყობს

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**ეტუალ დუ საჰელი (ტუნისი) 2:2 (პენ.2:4) ურავა რედსი (იაპონია)**

1:0 ფრეჯი (53), 1:1, 1:2 ვაშინგტონი (35, 70), 2:2 ხერმითი (75)

**ფინალი**

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:4 მილანი (იტალია)**

0:1 ინძაგი (21), 1:1 პალასიო (22), 1:2 ნესტა (50), 1:3 კაკა (61), 1:4 ინძაგი (71), 2:4 ამბროზინი (85ს.კ.)

**ბოკა ხუნიორსი:** კარანტა, იბარა, მაიდანა, პალეტა, მორელ როდრიგესი, ა. გონსალესი (მ. ლედესმა 67), ბატალია, ბანეგა, ნ. კარდოზო (გრაციანი 68), პალერმო, პალასიო

მწვრთნელი: მიგელ ანხელ რუსო

**მილანი:** დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო (ემერსონი 65), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (კაფუ 76), კაკა, ინძაგი (ბროკი 87)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ამბროზინი (22), იბარა (40), ბატალია (55), კაკა (62), პალეტა (73)

გაძევება: კალაძე (77), ლედესმა (88)

მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)

70 000 მაყურებელი

**34 წლის** ფილიპო ინძაგის სიბერისა არაფერი ეტყობა. „სუპერპიპომ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ევროპის სუპერთასზე და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში ორორი გოლი გაიტანა. „მილანმა“ „ბოკა ხუნიორსი“ მეორე ტაიმში აშკარად დაჩაგრა და მე-18 არაიტალიური ჯილდო მოიგო. ამ მატჩამდე „ბოკასაც“ და „მილანსაც“ 17-17 საერთაშორისო ტიტული ჰქონდათ და სილვიო ბერლუსკონის კლუბი გაპირველდა. „როსონერის“ ახლა 7 ჩემპიონთა თასი აქვს, 2 თასების მფლობელთა თასი, ევროპის 5 სუპერთასი და 4 მსოფლიოს საკლუბო (საკონტინენტთაშორისო) თასი. სამით ნაკლები, 15-15 მადრიდის „რეალმა“ და „ინდეპენდიენტემ“ მოაგროვეს, ეგვიპტის „ალ აჰლიმ“ კი — 13.

საუცხოოდ ითამაშა კაკამ, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა და ერთი თავად გაიტანა. „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ მფლობელი გუშინვე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და „ადიდასის ოქროს ბურთიც“ ჩააბუტეს. „ვერცხლი“ კლარენს ზეედორფს ერგო, „ბრინჯაო“ კი — როდრიგო პალასიოს.

„ამ თასზე ვოცნებობდი და ესეც მივიღე — თქვა კაკამ — მადლობა ღმერთს, რომ ნანატრი ჯილდო მოვიგეთ. სიტყვებით ვერ გამოვხატავ უზომო სიხარულს. ჩემს კოლექციაში ახლა ყველაფერია და ეს ბრწყინვალე შედეგია“.

39 წლის პაოლო მალდინიმ კი განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს: „ამ ასაკში უკვე ძნელია ბურთის დევნა და მაღალ დონეზე თამაში. კმაყოფილი ვარ იმით, რასაც კარიერაში მივაღწიე ივნისში ფეხბურთიდან წავალ და გული არაფერზე დამწყდება“. მალდინი 1984 წლიდანაა „მილანში“ და მისი მონაგარი ასეთია: ხუთი „სკუდეტო“, ხუთი ჩემპიონთა თასი, მსოფლიოს საკლუბო თასი, ევროპის ოთხი სუპერთასი, აგრეთვე იტალიის თასი და ქვეყნის ხუთი სუპერთასი.

კარლო ანჩელოტისაც ბლომად ჯილდოები მოუგროვდა და პრესკონფერენციაზე თქვა კიდეც: „ეს წელი ბრწყინვალე იყო და ჩვენ შევასრულეთ სილვიო ბერლუსკონისთვის მიცემული სიტყვა. ამ თასის მოგებას 2008-შიც ვეცდებით. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ მეორეში საუცხოოდ ვითამაშეთ. ამ ტურნირისთვის კარგად მოვემზადეთ და შინ ტრიუმფით ვბრუნდებით“.

„ბოკა ხუნიორსის“ თავკაცი მიგელ ანხელ რუსო: „მილანის“ ფეხბურთი უმაღლესი კლასისაა, თანაც მათ კაკა ჰყავთ, რომელსაც ყველაფერი შეუძლია“.

კაკას რომ შეუძლია, წინა სეზონშიც დაამტკიცა და გუშინდელ მატჩშიც. მისი პასით ინძაგიმ ანგარიში გახსნა, მაგრამ ორ წუთში როდრიგო პალასიომ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაჰკრა და გაათანაბრა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში „ბოკას“ კარისკენ საჯარიმო დაინიშნა, პირლოს ჩაწოდებულზე კი ალესანდრო ნესტამ იხეირა. „მილანის“ მესამე გოლისას ასეთი რამ მოხდა: დაშავებული პაოლო მალდინი მოედანზე იწვა, მაგრამ გატუზომ ბურთი არ გადააგდო, კაკას მიაწოდა, რომელმაც მცველებს ჩაუქროლა და მახვილი კუთხიდან გაიტანა. ხოლო მეოთხე „მილანის“ კონტრშეტევისას შეაგდო. ზეედორფი-კაკა-ინძაგი და 4:1.

ამ გოლიდან 6 წუთში კახა კალაძე მარტინ პალერმოსთან უხეშობისთვის გააძევეს. მატჩის ბოლოს მას პაბლო ლედესმაც მიჰყვა, რომელიც მოედანზე ოცი წუთის შესული იყო. საკუთარ კარში მასიმო ამბროზინისგან ჩაჭრილმა ბურთმა კი „ბოკა ხუნიორსის“ მარცხს ოდნავ ფერი უცვალა.

მესამე ადგილისთვის მატჩი მასპინძლებმა პენალტებით მოიგეს. „ეტუალ დუ საჰელი“ მეხუთე წუთზე საბორ ფრეჯის გოლით დაწინაურდა, მაგრამ „ურავას“ ბრაზილიელმა ვაშინგტონმა შესვენებამდე გაათანაბრა და მეორე ტაიმში თაყისანები დააწინაურა კიდეც. ამინე ხერმითიმ მალევე უპასუხა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც „ურავას“ მეკარე რიოტა ცუზუკიმ იყოჩაღა და ორი დარტყმა მოიგერია.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

### დაჯარიმდა

| ფეხბურთელი | კლუბი | დაჯარიმდა | წუთი |
|---|---|---|---|
| სკოტ ბრაუნი | სელტიკი | 22 | 539 |
| გაბი მუდინგაი | ლაციო | 21 | 540 |
| მეჰმეთ აურელიო | ფენერბაჰჩე | 20 | 512 |
| ჯენარო გატუზო | მილანი | 19 | 540 |
| ედისონ მენდესი | პსვ | 18 | 521 |
| მასიმო მუტარელი | ლაციო | 18 | 460 |
| მასიმო აბროზინი | მილანი | 17 | 443 |
| იეროკლის სტოლტიდისი | ოლიმპიაკოსი | 16 | 540 |
| ლომანა ლუა ლუა | ოლიმპიაკოსი | 16 | 522 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 16 | 444 |

### მასზე დაჯარიმდნენ

| ფეხბურთელი | კლუბი | დაჯარიმდნენ | წუთი |
|---|---|---|---|
| დიეგო | ვერდერი | 28 | 449 |
| რიკარდუ კვარესმა | პორტუ | 27 | 540 |
| მეჰმეთ აურელიო | ფენერბაჰჩე | 24 | 512 |
| მამადუ ნიანგი | მარსელი | 23 | 536 |
| დანკო ლაზოვიჩი | პსვ | 22 | 534 |
| კრისტიან როდრიგესი | ბენფიკა | 19 | 444 |
| მეთიუ ვალბუენა | მარსელი | 17 | 458 |
| ივიცა დრაგუტინოვიჩი | სევილია | 17 | 540 |
| გაბი მუდინგა | ლაციო | 16 | 540 |
| რონალდინიო | ბარსელონა | 16 | 445 |

### მეგოლე

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | წუთი |
|---|---|---|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 5 | 444 |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | 5 | 447 |
| ფრედერიკ კანუტი | სევილია | 4 | 521 |
| ლიდსონი | სპორტინგი | 4 | 540 |
| ლუიშ ფაბიანო | სევილია | 4 | 368 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | 4 | 338 |
| გორან პანდევი | ლაციო | 4 | 429 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 4 | 523 |
| რუუნ ვან ნისტელროი | რეალი | 4 | 523 |
| ფილიპო ინძაგი | მილანი | 4 | 291 |

### საგოლე პასი

| ფეხბურთელი | კლუბი | საგოლე პასი | წუთი |
|---|---|---|---|
| პრედრაგ ჯორჯევიჩი | ოლიმპიაკოსი | 4 | 449 |
| ანდრეა პირლო | მილანი | 4 | 524 |
| რუუდ ვან ნისტელროი | რეალი | 3 | 523 |
| პარი კიუელი | ლივერპული | 3 | 112 |
| რობინიო | რეალი | 3 | 373 |
| ხულიო კრუზი | ინტერი | 3 | 220 |
| სიდნეი გოვუ | ლიონი | 3 | 535 |
| რობერტო ნანი | მანჩესტერი | 3 | 457 |
| ალექსი | ფენერბაჰჩე | 3 | 485 |
| მეჰმეთ აურელიო | ფენერბაჰჩე | 2 | 512 |

### კარში დარტყმა

| ფეხბურთელი | კლუბი | დარტყმა | წუთი |
|---|---|---|---|
| ჟუნინიო პერნამბუკანო | ლიონი | 17 | 535 |
| ოსკარ კარდოზო | ბენფიკა | 16 | 438 |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | 12 | 447 |
| რუუდ ვან ნისტელროი | რეალი | 12 | 523 |
| რიკარდო კაკა | მილანი | 12 | 540 |
| ლიონელ მესი | ბარსელონა | 11 | 448 |
| ქარიმ ბენზემა | ლიონი | 11 | 436 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 10 | 444 |
| ალექსი | ფენერბაჰჩე | 10 | 485 |
| გორან პანდევი | ლაციო | 10 | 429 |

### კარისკენ დარტყმა

| ფეხბურთელი | კლუბი | დარტყმა | წუთი |
|---|---|---|---|
| ფრედერიკ კანუტი | სევილია | 12 | 521 |
| ლუიშ ფაბიანო | სევილია | 11 | 368 |
| რიკარდუ კვარესმა | პორტუ | 11 | 540 |
| მანუელ რუი კოშტა | ბენფიკა | 11 | 537 |
| ფერნანდინიო | შახტარი | 11 | 446 |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი | 10 | 447 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 10 | 444 |
| კაკაუ | შტუტგარტი | 10 | 418 |
| უგო ალმეიდა | ვერდერი | 10 | 314 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 9 | 523 |

### თამაშგარე

| ფეხბურთელი | კლუბი | მოხვდა | წუთი |
|---|---|---|---|
| რუუდ ვან ნისტელროი | რეალი | 12 | 523 |
| ვალენტინ ბადია | სტიაუა | 12 | 347 |
| ტომაზო როკი | ლაციო | 11 | 516 |
| ემანუელ ადებაიორი | არსენალი | 10 | 276 |
| ტიერი ანრი | ბარსელონა | 9 | 352 |
| ლომანა ლუა ლუა | ოლიმპიაკოსი | 9 | 522 |
| ლისანდრო ლოპესი | პორტუ | 8 | 525 |
| ბობო დეივსონი | ბეშიქთაში | 8 | 525 |
| დავიდ იანჩიკი | ცსკა | 8 | 194 |
| მამადუ ნიანგი | მარსელი | 7 | 536 |

### ყვითელი ბარათი

| ფეხბურთელი | კლუბი | ყვითელი | წუთი |
|---|---|---|---|
| კევინ თომსონი | რეინჯერსი | 4 | 450 |
| დიეგო ლუგანო | ფენერბაჰჩე | 4 | 437 |
| მატეი კრაიჩიკი | სლავია | 3 | 540 |
| ლადისლავ ვოლეშაკი | სლავია | 3 | 214 |
| ფერნანდინიო | შახტარი | 3 | 446 |
| ბრანდაო | შახტარი | 3 | 525 |
| სეიდუ კეიტა | სევილია | 3 | 384 |
| ადრიანუ კორეირა | სევილია | 3 | 351 |
| ელვირ რახიმიჩი | ცსკა | 3 | 438 |
| დუდუ კაერენსე | ცსკა | 3 | 450 |

### წითელი ბარათი

| ფეხბურთელი | კლუბი | წითელი | წუთი |
|---|---|---|---|
| ვასილის ტოროსიდისი | ოლიმპიაკოსი | 1 | 446 |
| ჟერმენ პენანტი | ლივერპული | 1 | 148 |
| დიეგო | ვერდერი | 1 | 449 |
| ედისონ მენდესი | პსვ | 1 | 521 |
| ჟან-კლოდ დარშევილი | რეინჯერსი | 1 | 220 |
| კრისტიან კივუ | ინტერი | 1 | 335 |
| დავიდ სუაზო | ინტერი | 1 | 226 |
| აუგუსტინ ბინია | ბენფიკა | 1 | 221 |
| დავიდ ალბელდა | ვალენსია | 1 | 435 |
| დეივიდი | ფენერბაჰჩე | 1 | 424 |

მეტი გოლი (8)
ლივერპული 8:0 ბეშიქთაში
მეტი კარში დარტყმა (21)
მილანი 4:1 შახტარი
მეტი კარისკენ დარტყმა (22)
ჩელსი 1:1 რუსენბორგი
მეტი კუთხური (20)
რომა 2:1 სპორტინგი
მეტი თამაშგარე (15)
ვერდერი 2:1 ლაციო
მეტი ჯარიმა (46-46)
სევილია 2:1 სტიაუა
სლავია 0:0 არსენალი
მეტი ყვითელი (8)
ლაციო 2:1 ვერდერი
მეტი წითელი (2-2)
ინტერი 2:0 პსვ
ლაციო 2:1 ვერდერი

### გოლები გავიდა

1-15 წუთამდე: 45
16-30 წუთამდე: 39
31-45 წუთამდე: 38
I ტაიმის დამატებულ დროში: 2
46-60 წუთამდე: 31
61-75 წუთამდე: 54
76-90 წუთამდე: 45
I ტაიმის დამატებულ დროში: 13

### A ჯგუფი

| | ბეშიქთაში | ლივერპული | მარსელი | პორტუ |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 28 | 40 | 38 | 41 |
| კარში დარტყმა | 19 | 43 | 25 | 24 |
| კუთხური | 29 | 34 | 36 | 35 |
| თამაშგარე | 12 | 19 | 18 | 16 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 26 | 28 | 30 | 26 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 47 | 50 | 53 | 50 |
| გატანილი გოლი | 4 | 18 | 6 | 8 |
| გაშვებული გოლი | 15 | 5 | 9 | 7 |
| ყვითელი ბარათი | 10 | 11 | 13 | 10 |
| წითელი ბარათი | 0 | 1 | 0 | 0 |

### B ჯგუფი

| | ჩელსი | ბეშიქთაში | შალკე | ვალენსია |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 48 | 32 | 41 | 32 |
| კარში დარტყმა | 42 | 24 | 30 | 20 |
| კუთხური | 30 | 26 | 39 | 17 |
| თამაშგარე | 21 | 11 | 13 | 9 |
| ბურთი ფლობა (წუთი) | 37 | 28 | 30 | 35 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 53 | 47 | 48 | 52 |
| გატანილი გოლი | 9 | 6 | 5 | 2 |
| გაშვებული გოლი | 2 | 10 | 4 | 6 |
| ყვითელი ბარათი | 3 | 8 | 13 | 8 |
| წითელი ბარათი | 0 | 0 | 0 | 1 |

### C ჯგუფი

| | ვერდერი | ლაციო | ოლიმპიაკოსი | რეალი |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 41 | 17 | 25 | 37 |
| კარში დარტყმა | 39 | 42 | 35 | 42 |
| კუთხური | 34 | 22 | 26 | 34 |
| თამაშგარე | 17 | 22 | 24 | 29 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 30 | 28 | 25 | 35 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 53 | 46 | 43 | 58 |
| გატანილი გოლი | 8 | 8 | 11 | 13 |
| გაშვებული გოლი | 13 | 11 | 7 | 9 |
| ყვითელი ბარათი | 10 | 12 | 15 | 9 |
| წითელი ბარათი | 1 | 1 | 1 | 0 |

### D ჯგუფი

| | ბენფიკა | სელტიკი | მილანი | შახტარი |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 49 | 29 | 35 | 43 |
| კარში დარტყმა | 37 | 22 | 37 | 34 |
| კუთხური | 29 | 23 | 31 | 41 |
| თამაშგარე | 14 | 10 | 15 | 11 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 29 | 28 | 31 | 31 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 50 | 49 | 51 | 51 |
| გატანილი გოლი | 5 | 5 | 12 | 6 |
| გაშვებული გოლი | 6 | 6 | 5 | 11 |
| ყვითელი ბარათი | 9 | 11 | 11 | 12 |
| წითელი ბარათი | 1 | 0 | 0 | 0 |

### E ჯგუფი

| | ბარსელონა | ლიონი | რეინჯერსი | შტუტგარტი |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 30 | 35 | 20 | 39 |
| კარში დარტყმა | 48 | 45 | 20 | 36 |
| კუთხური | 43 | 34 | 20 | 24 |
| თამაშგარე | 17 | 16 | 12 | 18 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 39 | 30 | 26 | 34 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 59 | 48 | 42 | 51 |
| გატანილი გოლი | 12 | 11 | 7 | 7 |
| გაშვებული გოლი | 3 | 10 | 9 | 15 |
| ყვითელი ბარათი | 10 | 12 | 15 | 10 |
| წითელი ბარათი | 0 | 0 | 1 | 0 |

### F ჯგუფი

| | დინამო | მანჩესტერი | რომა | სპორტინგი |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 36 | 41 | 38 | 40 |
| კარში დარტყმა | 27 | 42 | 35 | 37 |
| კუთხური | 33 | 47 | 36 | 35 |
| თამაშგარე | 8 | 11 | 13 | 13 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 28 | 31 | 30 | 28 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 47 | 52 | 52 | 50 |
| გატანილი გოლი | 4 | 13 | 11 | 9 |
| გაშვებული გოლი | 19 | 4 | 6 | 8 |
| ყვითელი ბარათი | 8 | 5 | 11 | 9 |
| წითელი ბარათი | 0 | 0 | 0 | 0 |

### G ჯგუფი

| | ცსკა | ფენერბაჰჩე | ინტერი | პსვ |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 44 | 38 | 42 | 40 |
| კარში დარტყმა | 23 | 40 | 22 | 17 |
| კუთხური | 32 | 29 | 35 | 18 |
| თამაშგარე | 20 | 11 | 16 | 16 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 29 | 27 | 29 | 31 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 50 | 49 | 50 | 52 |
| გატანილი გოლი | 7 | 8 | 12 | 3 |
| გაშვებული გოლი | 14 | 6 | 4 | 6 |
| ყვითელი ბარათი | 15 | 11 | 12 | 8 |
| წითელი ბარათი | 0 | 1 | 2 | 1 |

### H ჯგუფი

| | არსენალი | სევილია | სლავია | სტიაუა |
|---|---|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 36 | 48 | 19 | 33 |
| კარში დარტყმა | 32 | 34 | 31 | 14 |
| კუთხური | 31 | 28 | 16 | 16 |
| თამაშგარე | 17 | 15 | 15 | 37 |
| ბურთის ფლობა (წუთი) | 33 | 33 | 27 | 29 |
| ბურთის ფლობა (პროც.) | 53 | 55 | 42 | 50 |
| გატანალი გოლი | 14 | 14 | 5 | 4 |
| გაშვებული გოლი | 4 | 7 | 16 | 10 |
| ყვითელი ბარათი | 10 | 11 | 12 | 12 |
| წითელი ბარათი | 0 | 0 | 0 | 0 |

# ინგლისი
## პრემიერლიგა XVII ტური

### უიგანი 5:3 ბლექბერნი

1:0 ლანძაატი (10), 2:0 ბენტ( 2), 3:0 შარნერი (37), 3:1, 3:2, 3:3 სანტა კრუზი (45, 50, 61), 4:3, 5:3 ბენტი (66, 81)
უიგანი: კირკლანდი, ტეილორი (ოლემბე 89), ბოისი, ბრამბლი, კილბეინი, ვალენსია, ბრაუნი, შარნერი, ლანძაატი, მ. ბენტი, ჰესკი (აგაჰოვა 40; გრანქვისტი 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, რიდი, სევიჯი, პედერსენი, მაკკარტი (დერბიშირი 74), სანტა კრუზი (დანი 90)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ჰესკი, ტეილორი, აგაჰოვა, ბრაუნი, სამბა, ემერტონი, ემერტონი, უორნოკი, სევიჯი
გაძევება: ემერტონი (57)
მსაჯი: კლატენბურგი
16 489 მაყურებელი

### არსენალი 1:0 ჩელსი

1:0 გალასი (45)
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუე (ვან პერსი 69), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (ჟილბერტო სილვა 77), როსიცკი, ადებაიორი (ბენდტნერი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ალექსი, ტერი (ბენ ჰაიმი 38), ეშლი კოული, შ. რაიტ-ფილიპსი (ს. კალუ 75), მაკელელე (კ. პიზარო 65), ლამპარდი, მიკელი, ჯ. კოული, შევჩენკო
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ადებაიორი, ტერი, ლამპარდი, ედუ, ფლამინი, ჯ. კოული, ტურე, ბენ ჰაიმი, მიკელი, ფაბრეგასი
მსაჯი: ვაილი
60 139 მაყურებელი

### ლივერპული 0:1 მანჩესტერი

0:1 ტევესი (43)
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიპია, რიისე (აურელიო 80), ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო, კაიტი (ბაბელი 65), ფ. ტორესი, კაიტი (კრაუჩი 73)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ჰარგრივსი, ანდერსონი (ოშეი 90), გიგზი, რუნი, ტევესი (კარიკი 83)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ევრა, ჯერარდი, ანდერსონი, ბრაუნი, მასკერანო
მსაჯი: ჰალსი
44 459 მაყურებელი

### სიტი 4:2 ბოლტონი

1:0 ბიანკი (7), 1:1 დიუფი (31), 1:2 ნოლანი (40), 2:2 მიხალიკი (48ს.კ.), 3:2 ვასელი (77), 4:2 ეტუჰუ (90)
სიტი: ისაკსონი, კორლუკა, რიჩარდსი, დანი, ბოლი, ჟელსონი (ეტუჰუ 46), ჰამანი, ჯონსონი, პეტროვი (გარიდო 83), ბიანკი (მპენზა 87), ვასელი
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (მაკკანი 85), მეიტე, მიხალიკი, გარდნერი, ნოლანი, კამპო (იანაკოპულოსი 86), გუდრიე, დიუფი, კ. დევისი, ანელკა
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ეტუჰუ, ნოლანი
მსაჯი: უოლტონი
40 506 მაყურებელი

### პორტსმუთი 0:1 ტოტენჰემი

0:1 ბერბატოვი (81)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, პამარო (პრეიდარსონი 74), უტაკა, დიოპი, პ. მენდეში (დევისი 46), მუნტარი (ნაჯენტი 65), კრანჩარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, ზოკორა, კაბული, ლი, ლენონი (ტაინიო 86), ჯენასი, ბოატენგი (ოჰარა 78), მალბრანკი, ბერბატოვი, დ. ბენტი (დეფო 74)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: მენდეში, კრანჩარი, დისტინი, მალბრანკი, ბერბატოვი
მსაჯი: ატკინსონი
20 520 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:1 ასტონ ვილა

1:0 ჰიგინბოთემი (10), 1:1 მელოუნი (73)
სანდერლენდი: უორდი, უიტიჰიდი, მაკშეინი, ჰიგინბოთემი, კოლინზი, უოლესი (კ. კოული 83), ეტუჰუ (ლიდბიტერი 61), იორკი, მერფი, ჯონსი, სტოკსი (ჩოპრა 70)
მწვრთნელი: როი კინი
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, გარდნერი (მელოუნი 67), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, აგბონლაჰორი, კარეუ
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: უიტიჰიდი, იორკი, გარდნერი, იანგი
მსაჯი: ბენეტი
43 248 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 0:2 ევერტონი

0:1 აიეგბენი (45), 0:2 ჯონსონი (90)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, კოლინზი, აპსონი, მაკკარტნი, სოლანო (ნობლი 59), პარკერი, მალინსი (რიდი 79), ლიუნგბერგი, ეშტონი, ენდი კოული (კამარა 46)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, იაგიელკა, ლესკოტი, არტეტა, ოსმანი, კარსლი, პიენაარი, კეჰილი, აიეგბენი (ჯონსონი 87)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ლიუნგბერგი, აიეგბენი, ჯონსონი
მსაჯი: ტენერი
34 430 მაყურებელი

### ფულემი 0:1 ნიუკასლი

0:1 ბარტონი (90პ)
ფულემი: ნიემი, ომოზუსი, ჰიუზი, სტეფანოვიჩი, ბოკანეგრა, შ. დევისი, მერფი, ს. დევისი (კუქი 75), ბუაზა, ჰილი, დემპსი
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
ნიუკასლი: გივენი, ნზოგბია, როზენალი, კასაპა, ბეიე, ჯერემი (ემრე 59), ბატი, ბარტონი, მილნერი, სმიტი, მარტინსი (ვიდუკა 77)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მსაჯი: ვები
24 959 მაყურებელი

### დერბი 0:1 მიდლსბრო

0:1 თუნჯაი (38)
დერბი: ბივატერი, მირსი, დევისი, მური, გრიფინი (მაკიველი 29), ტილი (ჰოვარდი 56), ოკლი, ლიკოკი, პირსონი, ბერნესი, მილერი (ერნშოუ 74)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, უიტერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ონილი, ბოატენგი, როჩემბაკი, დაუნინგი (ჯონსონი 89), ალიადიერი, თუნჯაი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
მსაჯი: სტაილზი
32 676 მაყურებელი

### ბირმინგემი 1:1 რედინგი

1:0 ფორსელი (4), 1:1 ჰანტი (51პ)
ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, შმიტცი, რიდგუელი, სადლერი, ლარსონი, ჯონსონი, მუამბა, მაკშეფრი, ფორსელი (ოკონორი 75), ჯერომი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი, ჰარპერი, გუნარსონი (სისე 28), კონვი (ლონგი 84), დოილი, კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: ჯონსონი, რიდგუელი, მარტი
მსაჯი: პრობერტი
27 300 მაყურებელი

„უიგანმა" 14-მატჩიანი მოუგებელი სერია „ბლექბერნთან" გოლუხვ შეხვედრაში შეწყვიტა. მასპინძელმა მარკუს ბენტმა და სტუმარმა როკე სანტა კრუსმა ჰეთ თრიქი შეასრულეს. ეს იყო პირველი გამარჯვება სტივ ბრუსის ხელში, რომელიც „ბირმინგემიდან" „უიგანში" სამი კვირის წინ გადავიდა. პირველი ტაიმი დამხელურებმა 3:1 მოიგეს, 22-ე წუთზე კი მაკარტიმ პენალტი ვერ გაიტანა. პარაგვაელმა სანტა კრუსმა მეორე ნახევრის დასაწყისში სხვაობა ერთამდე შეამცირა. ამის შემდეგ „ბლექბერნს" უხეშობისთვის ბრეტ ემერტონი გაუძევეს, თუმც კაცნაკლულებმა სანტა კრუსის წყალობით მაინც გაათანაბრეს. უმერტონობა სტუმრებს მერელა დაეტყოთ და ბენტმა ეს უპირატესობა გოლებად აქცია.

„ვესტ ჰემმა" შუაკვირაში ლიგის თასის მეოთხედფინალში „ევერტონთან" 1:2 წააგო და ამჯერადაც ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს. იაკუბუ აიეგბენიმ „ჩაქუჩებს"


კარლოს ტევესის (მარცხნივ) გოლმა მანჩესტერელებს ლივერპულში მოაგებინა

# ინგლისური სტატუს კვო

თასზეც გაუტანა და ახლაც. ეს ნიგერიელის მეხუთე გოლია ბოლო სამ მატჩში. მწვრთნელმა დევიდ მოიესმა განაცხადა: „ამ სეზონში გუნდი საუცხოოდ თამაშობს და ჩემი მოსვლის დღიდან ასეთი ძლიერები ჯერ არ ვყოფილვართ. ჩვენი მიზანი ოთხეულში შესვლაა და საამისოდ ვიბრძოლებთ".

„მანჩესტერ სიტიმ" შინ მერვე მატჩიც მოიგო და ამ მხრივ პრემიერლიგაში უბადლოა. ზაფხულში „რეჯინადან" ნაყიდმა როლანდო ბიანკიმ მასპინძლები მალევე დააწინაურა და ოთხ თვეში მეორე გოლი მიითვალა, დიუფმა და ნოლანმა ცხრაწუთიან მონაკვეთში ორით უპასუხეს და „ბოლტონი" წინ გაიყვანეს. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმარმა მიხალიკმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „სიტიც" იმტაზე მოვიდა. დარიუს ვასელმა მარტინ პეტროვის პასი შეირგო, ხოლო ახალგაზრდა კელვინ ეტუჰუმ მატჩის მიწურულს მეოთხე გაიტანა. „ბოლტონმა" ზედიზედ მეორე გასვლით შეხვედრაში ოთხი გოლი გაუშვა, რაც მწვრთნელმა გარი მეგსონმა ენდი ობრაიენის ტრავმას დააბრალა: „ობრაიენი ბობი მური და ფრანც ბეკენბაუერი არაა, მაგრამ ჩვენთვის დიდი ძალაა. სამწუხაროდ, მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ გვყავს".

წინა ტურში შინ „არსენალის" მძლეველი „მიდლსბრო" გამოცოცხლდა და მოჯრით მეორე მატჩში იმარჯვა. გარეთ საუთგეიტის გუნდმა ბოლოადგილოსანი „დერბი" თუნჯაის გოლით დაამარცხა, რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა.

„ბირმინგემმა" ახალი მწვრთნელის ალექს მაკლიშის ხელქვეით შინ პირველი მატჩი ითამაშა და „რედინგს" დაუზავდა.

უკან-უკან მიდის „ფულემის" საქმე, რადგან გუნდმა ზედიზედ მესამე შეხვედრა ისე წააგო, რომ გოლი არ გაუტანია. ნიუკასლელმა ჯოი ბარტონმა ბოლო წუთზე სმიტის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა და სემ ალარდაისის გუნდმა, ისევე როგორც „მიდლსბრომ", სტუმრად პირველი გამარჯვება გაიფორმა.

ტურის ცენტრალურ მატჩში „მანჩესტერმა" „ლივერპულს" მოუგო და დამსახურებულადაც. საკუთარი ფანებით შეგულიანებულმა მერსისაიდელებმა აქტიურად დაიწყეს და მომენტებიც შექმნეს, მაგრამ „წითელმა ეშმაკუნებმა" ყველაფერს გაუძლეს და ტაიმის მიწურულს აქეთ გაიტანეს — რაიან გიგზის ჩაწოდებული კუთხურისას უეინ რუნის წესიერად არავინ ფარავდა და მანაც კარლოს ტევესს უპასა, ვისაც ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია.

რაფაელ ბენიტესმა შეცვლებით და ტაქტიკის გადაწყობით სცადა თამაშის გადარჩენა, მაგრამ მიუხედავად შექმნილი მომენტებისა მასპინძლები ვერაფერს გახდნენ, ხოლო სტუმრებმა თავისი გაიტანეს. რუნის სულ მცირე ორი მშვენიერი საგოლე ეპიზოდი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა თორემ ეს მატჩი ბოლო წამებამდე ინტრიგას აღარც შეინარჩუნებდა.

მიუხედავად „წითელი ეშმაკების" შნიშვნელოვანი გამარჯვებისა, ლიდერი უცვლელი დარჩა, ასევე ტურის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი — ლონდონური დერბი „არსენალსა" და „ჩელსის" შორის „მეთოფეების" გამარჯვებით დამთავრდა და არსენ ვენგერის შეგირდებმა პირველი ადგილი შეინარჩუნეს. მატჩის ერთადერთი გოლი ვილჩელსელმა უილიამ გალასმა გაიტანა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე თავური დარტყმით.

ეს გახლდათ საკმაოდ უხეში მატჩი, რომელშიდაც „არსენალმა" „ჩელსის" 2004 წლის თებერვლის მერე პირველად მოუგო. გარდა ამისა, „ჩელსის" აქამდე ავრაამ გრანტის ხელქვეით 16-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა...

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 17 | 12 | 4 | 1 | 34:14 | 40 |
| მანჩესტერი | 17 | 12 | 3 | 2 | 30:8 | 39 |
| ჩელსი | 17 | 10 | 4 | 3 | 24:10 | 34 |
| სიტი | 17 | 10 | 3 | 4 | 24:19 | 33 |
| ლივერპული | 16 | 8 | 6 | 2 | 27:10 | 30 |
| ევერტონი | 17 | 9 | 3 | 5 | 31:16 | 30 |
| პორტსმუთი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:15 | 30 |
| ასტონ ვილა | 17 | 8 | 4 | 5 | 28:20 | 28 |
| ბლექბერნი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:24 | 26 |
| ნიუკასლი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:26 | 25 |
| ვესტ ჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:14 | 22 |
| ტოტენჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 29:29 | 18 |
| რედინგი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:34 | 18 |
| მიდლსბრო | 17 | 4 | 5 | 8 | 16:28 | 17 |
| ბირმინგემი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:27 | 15 |
| ბოლტონი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:27 | 14 |
| სანდერლენდი | 17 | 3 | 5 | 9 | 16:32 | 14 |
| ფულემი | 17 | 2 | 7 | 8 | 18:28 | 13 |
| უიგანი | 17 | 3 | 3 | 11 | 17:33 | 12 |
| დერბი | 17 | 1 | 3 | 13 | 6:39 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ადებაიორი (არსენალი) | 9 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 9 |
| აიეგბენი (ევერტონი) | 9 |
| ანელკა (ბოლტონი) | 8 |
| კინი (ტოტენჰემი) | 8 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 8 |

### XVIII ტური
22 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | : | სიტი |
| ბლექბერნი | : | ჩელსი |
| ბოლტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | უიგანი |
| ლივერპული | : | პორტსმუთი |
| მანჩესტერი | : | ევერტონი |
| მიდლსბრო | : | ვესტ ჰემი |
| ნიუკასლი | : | დერბი |
| რედინგი | : | სანდერლენდი |

### ჩემპიონატი. XXII ტური

ვესტ ბრომვიჩი — ჩარლტონი 4:2; ბლექპული — სტოკი 2:3; ბრისტოლი — კარდიფი 1:0; ბარნლი — პრესტონი 2:3; ქოვენტრი — საუთჰემპტონი 1:1; კრ. პალასი — უენსდი 2:1; ჰალი — ლესტერი 2:0; იფსვიჩი — სკანთორპი 3:2; ქუინზ პარკი — ვულვზი 0:0; შეფილდი — ბარნსლი 1:0; უოტფორდი — პლიმუთი 0:1; კოლჩესტერი — ნორვიჩი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 12 | 5 | 5 | 46:25 | 41 |
| უოტფორდი | 22 | 12 | 4 | 6 | 36:28 | 40 |
| ბრისტოლი | 22 | 10 | 8 | 4 | 27:24 | 38 |
| სტოკი | 22 | 10 | 7 | 5 | 33:26 | 37 |
| ჩარლტონი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:26 | 37 |
| იფსვიჩი | 22 | 10 | 5 | 7 | 40:31 | 35 |
| პლიმუთი | 22 | 9 | 7 | 6 | 30:23 | 34 |
| ვულვზი | 22 | 9 | 7 | 6 | 22:19 | 34 |
| ბარნლი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:30 | 32 |
| ბარნსლი | 22 | 8 | 7 | 7 | 24:26 | 31 |
| საუთჰემპტონი | 22 | 9 | 4 | 9 | 32:37 | 31 |
| ჰალი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:27 | 30 |
| შეფილდი | 22 | 8 | 5 | 9 | 26:27 | 29 |
| ქოვენტრი | 21 | 8 | 5 | 8 | 26:31 | 29 |
| კრ. პალასი | 22 | 6 | 10 | 6 | 25:25 | 28 |
| კარდიფი | 22 | 6 | 8 | 8 | 27:29 | 26 |
| უენსდი | 21 | 7 | 4 | 10 | 27:29 | 25 |
| ბლექპული | 22 | 5 | 8 | 9 | 24:30 | 23 |
| სკანთორპი | 22 | 5 | 8 | 9 | 25:32 | 23 |
| ლესტერი | 22 | 4 | 10 | 8 | 20:22 | 22 |
| ნორვიჩი | 22 | 6 | 4 | 12 | 20:31 | 22 |
| კოლჩესტერი | 22 | 4 | 9 | 9 | 34:39 | 21 |
| პრესტონი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:28 | 21 |
| ქუინზ პარკი | 22 | 4 | 9 | 9 | 20:32 | 21 |

### I ლიგა. XX ტური

ჩელტენემი — ლუთონი 1:0; ბორნმუთი — ჯილინგემი 1:0; კარლაილი — ლეიტონი 1:0; ჰარტლპული — ქრიუ 3:0; ჰადერსფილდი — როვერსი 2:1; მილუოლი — ოლდემი 2:3; ნოტინგემი — ნორთჰემპტონი 2:2; პორტ ვეილი — ტრანმერი 0:0; სუონსი — საუთენდი 3:0; სუინდონი — ბრაიტონი 0:3; უოლსოლი — ლიდსი 1:1; დონკასტერი — იოვილი 1:2

### II ლიგა. XX ტური

უიკომბი — მორეკემბი 2:0; აკრინგტონი — ჩესტერფილდი 2:1; ბერი — შრუსბერი... შრეფორდი 0:1; გრიმსბი — მენსფილდი 1:0; ლინკოლნი — ბარნეტი 4:1; მაკლსფილდი — სტოკპორტი 0:2; პიტერბრო — დონსი 1:2; შრიუსბერი — დაგენემი 4:0; რექსემი — ბრენტფორდი 1:3. ბრედფორდი — როტერჰემი, დარლინგტონი — ჩესტერი და როჩდეილი — ნოტსი გადაიდო

# ჰიცფელდმა ნაწერი დაიწუნა
## ბაიერნი ნულებით გაჩემპიონდა


ივან კლასნიჩმა დაბრუნება დუბლით აღნიშნა

### გერმანია
### ბუნდესლიგა XVII ტური

**შალკე 2:1 ნიურნბერგი**
1:0 ასამოა (14), 2:0 ენგელჰარდტი (35ნ.კ.), 2:1 ხარისტეასი (55)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ჯონსი, რაკიტიჩი (ბაირამოვიჩი 75), ასამოა (ლოვენკრანდსი 88), იოზილი (ჰალილ ალტინტოპი 61), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ბეკამპი, ენგელჰარდტი (მნარი 63), გალაშეკი (გლაუბერი 39), კლუგე, მისიმოვიჩი, ხარისტეასი, მინტალი, ნ. ადლერი (საენკო 46)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ერნსტი, კლუგე, რაფინია, ხარისტეასი, ვოლფი
მსაჯი: ვაინერი
61 482 მაყურებელი

**კარლსრუე 1:1 ჰამბურგი**
1:0 ტიმი (46), 1:1 ოლიჩი (90)
კარლსრუე: კორნეცკი, ა. გიორლიცი, ებერტი, ფრანცი, აიხნერი, პორჯილი, მუტცელი, ტიმი, ჰაინალი, იაშვილი (შტაფელდტი 88), ფრაისი (ადუბე 81)
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
ჰამბურგი: ფ. როსტი, ჯ. ბოატენგი (ბენჯამინი 71), ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, იაროლიმი (ზიდანი 78), დე იონგი, ტროხოვსკი (კასტელენი 71), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, გერერო
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: მუტცელი, მატიისენი, ჰაინალი, ვან დერ ვაარტი
მსაჯი: რაფატი
30 300 მაყურებელი

**ჰერტა 0:0 ბაიერნი**
ჰერტა: დრობნი, ა. ფრიდრიხი, ფონ ბერგენი, შიმუნიჩი, ფატი, დარდაი (ჩაჰედი 89), მინეირო, ლუშტენბერგერი (პიშჩეკი 72), გილბერტო, გრანი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
ბაიერნი: რენსინგი, ლელი, ვან ბოიტენი, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, რიბერი, პოდოლსკი (შლაუდრაფი 82), კლოზე
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: დარდაი, შვაინშტაიგერი
მსაჯი: მერკი
74 220 მაყურებელი

**ვერდერი 5:2 ლევერკუზენი**
0:1 ბარნეტა (6), 1:1 კლასნიჩი (30), 2:1 დიეგო (50), 3:1 ფრიცი (57), 4:1 კლასნიჩი (63), 5:1 როზენბერგი (69), 5:2 კისლინგი (76)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, პასანენი, დ. იენსენი, ვრანიეში (ლ. ანდრეასენი 31), ბოროვსკი (ჰუნტი 31), დიეგო, როზენბერგი, კლასნიჩი (ჰარნიკი 85)
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, შარპი, მ. ფრიდრიხი, ჰაგუ (სინკევიჩი 46), გრეშკო, კასტრო, როლფესი, ფრაიერი (გეკასი 67), ბარბარეზი (დუმი 73), ბარნეტა, კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ჰუნტი, ჰაგუ, ფრიცი, გრეშკო, ანდრეასენი, კასტრო, ბარბარეზი
მსაჯი: კირხერი
39 308 მაყურებელი

**არმინია 2:0 შტუტგარტი**
1:0 კამპერი (79), 2:0 ვიშნიარეკი (90)
არმინია: ფერნანდესი, კირხი, კუჩერა, გაბრიელი (კორზინეცი 55), შულერი, კაუფი, ტ. მარქსი, კამპერი (რაუ 90), ბიომე (აიგლერი 78), ვიშნიარეკი, ზუმა
მწვრთნელი: დეტლევ დამაიერი
შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი (ჰილბერტი 34), დელპიერი, მანინი (ბოკა 38), ფ. მეირა, პარდო, ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი, ევერტონი, მარიკა (და სილვა 78)
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
გაფრთხილება: კაუფი, ტასკი, ზუმა, პარდო, მარიკა, კორზინეცი, მეირა, და სილვა, პარდო
გაძევება: პარდო (73), ოსორიო (86)
მსაჯი: გრეფე
20 600 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 4:0 დორტმუნდი**
1:0 შეფერი (8), 2:0 რიკარდუ კოშტა (11), 3:0 გენტნერი (59), 4:0 ძეკო (78)
ვოლფსბურგი: ლენცი, რიკარდუ კოშტა, შიმუნეკი, მადლუნგი, კარიმოვი, გენტნერი, ჟოსუე (ტიამი 72), დეჟაგა (მუნტიანუ 81), მარსელინიო (რადუ 72), მ. შეფერი, ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბლაშჩიკოვსკი, ამედიკი, ვიორნსი, დედე, კრუშკა (კლიმოვიჩი 46), ბაკლი, ტინგა, ფედერიკო (ვებერი 83), ვალდესი (ბილენბრანდი 66), პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: შიმუნეკი, ვიორნსი
მსაჯი: გაგელმანი
30 000 მაყურებელი

**კოტბუსი 5:1 ჰანოვერი**
1:0 ბასილა (11), 2:0 სორენსენი (30), 3:0 რანგელოვი (44), 4:0 ციბიგი (65), 4:1 ჰლაინე (68), 5:1 რანგელოვი (71)
კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა, ს. ანგელოვი, ტ. როსტი, შკელა (როვიჩი 89), რანგელოვი (შაო 84), დ. სორენსენი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ჰლაინე, ტარნატი (როზენტალი 46), ლალა (ბაშემიანი 46), კ. შულცი, ჰუშტი, ს. პინტო, კრეზსი (შტაინერი 61), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ბასილა, ლალა, მიტრესკი, ჰუშტი
მსაჯი: შიპელი
14 026 მაყურებელი

**დუისბურგი 0:1 აინტრახტი**
0:1 ამანატიდისი (40)
დუისბურგი: შტარკე, ვებერი, ფილიპესკუ, ფერნანდო (კასერესი 55), ვილი (ლამეი 54), გრლიჩი, ტარარახე, გეორგიევი, იშიაკუ (დაუნი 33), ი. მოხტარი, აილტონი
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
აინტრახტი: პროილი, პ. ოხსი, გალინდო, კირიაკოსი, შპიხერი, კრისი, მ. ფინკი, კოლერი, მაჰდავიკია (ინამოტო 86), ტოსკი (ვაისენბერგერი 64), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ფილიპესკუ, კოლერი, ვებერი, კრისი, ოხსი
მსაჯი: შტარკი
26 557 მაყურებელი

**ჰანზა 2:0 ბოხუმი**
1:0 ბიულოვი (7), 2:0 ჰენგე (43)
ჰანზა: ჰანელი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი (დ. მორაიში 90), რატგები, ბიულოვი, რანი (პიორსი 84), იელენი, აგალი (შაპურზადეჰი 63), ჰენგე
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ბოხუმი: რენი, კონცა, პფერცელი, იაია, პ. ბონინგი (დრშკა 84), ცეჰბელი (ბეხმანი 62), დაბროვსკი, ეპალე, დ. ფუხსი (გროტე 73), შესტაკი, მაისელი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ორესტესი, ბონინგი, იაია
მსაჯი: ბრიხი
15 000 მაყურებელი

### თირკმელგადანერგილმა

